სახვითი ხელოვნება

სახელმძღვანელო

AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ეგანა ჯალილოვა
ქამალა ჯაფარზადე
თალე მელიქი

სახვითი ხელოვნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-5 კლასისათვის სახვითი ხელოვნების საგნის

სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ bn@bakineshr.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

B A K I N Ə Ş R

ბაქო – 2017

	მსჯელობა
	კითხვები
	ელექტრონული რესურსები
	მოწყობილობა
	ინფორმაციის გაგრძელება

სარჩევი

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და შენ 6

ხალხური შემოქმედების სათავეები

1. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და დრო 8
2. ბუნების სიმბოლოები ძველ გამოსახულებებში 10
3. აზერბაიჯანული ქოხის შიდა მოწყობილობა. 13
4. ხალხური ყოფის საგნები – ფორმა და დეკორი 16
5. ხალიჩების მოხატულობა 19
6. კომპოზიცია აზერბაიჯანულ ნაქარგებში 21
7. ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი 24

წინაპართა მემკვიდრეობა – ხალხური კოსტიუმი და აზერბაიჯანული ხალიჩები

8-9. ხალხური კოსტიუმი 30
10. უხაო ხალიჩები 34
11. აზერბაიჯანის ხალიჩის მუზეუმი 38

დეკორი – ადამიანი, საზოგადოება, დრო

12. რისთვის სჭირდებათ ადამიანებს მორთულობა 42
13. ძველი ეგვიპტე – ტანისამოსი და დეკორი 44
14. ძველი ეგვიპტის დეკორატიული ხელოვნება – ფორმა, დეკორი და ფერი 48
15. ძველი ჩინეთის ტრადიციული სამოსი – სიმბოლო და ფერი . 50
16. დასავლეთ ევროპის დეკორატიული ხელოვნება. მე-17 საუკუნე . 52
17. ჰერალდიკა – გერბები და ემბლემები 55
18-19. სხვადასხვა დროის მხატვრების შემოქმედება 57

მხატვრული მეტალი – ჭედურობა და ჩამოსხმა

20. თანამედროვე საგამოფენო ხელოვნება. 64
21. კერამიკა. 68
22. მხატვრული მინა 70
23. მხატვრული მეტალი – ჭედურობა და ჩამოსხმა 72
24. გობელენი 74
25. ნაზი ბატიკა 76
26. შენ „მხატვარი“ ხარ 78

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და შენ

ძვირფასო მეგობარო! შენ წინაშეა ხელოვნების ახალი სახელმძღვანელო. მისი დახმარებით აღმოაჩენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გასაოცარ სამყაროს: შეიტყობ, რატომ უწოდებენ ამ ხელოვნებას დეკორატიულს და რატომ – გამოყენებითს. თითოეული ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამ ნაწარმოებების გარემოცვაში იმყოფება. თუნდაც ამიტომ ღირს მისი გაცნობა და გაგება. სახელმძღვანელოთი მუშაობისას გაიგებ, რატომ ჩაისახა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება სხვადასხვა საზოგადოებებში უძველეს ხანაში და როგორ ვითარდებოდა იგი; რატომაა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ენა პირობითი; რა აქვს მას საერთო და რით განსხვავდება ნახატისა და ილუსტრაციისგან. მიხვდები, რა არის ხელოვნების ენა.

ისევე, როგორც მე-4 კლასში, გაეცნობი ჩვენი სამშობლოს, სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ხელოვნებას.

თავში „ხალხური ხელოვნების სათავეები“ გაეცნობი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ პირობითობას, ორნამენტებით მდიდარი ხატოვანი ენის თავისებურებებს.

თავში „წინაპართა მემკვიდრეობა – ხალხური კოსტიუმი და აზერბაიჯანული ხალიჩები“ შეიტყობ, თუ რატომაა აუცილებელი ტრადიციების მემკვიდრეობითობის შენარჩუნება.



მესამე თავი – „დეკორი – ადამიანი, საზოგადოება, დრო“ – დაგეხმარება, გაერკვე სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა საზოგადოების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების არსში.

მეოთხე თავი „თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“ გაგაცნობს თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების მრავალფეროვნებას და მათ ახალ გამომსახველობით ენას.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო დაგეხმარება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სამყაროსთან ურთიერთობაში, გაგიმდიდრებს ცოდნას ამ საინტერესო და მრავალფეროვან სფეროში.

ხალხური შემოქმედების სათავეები

ხალხური შემოქმედება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, ინახავს და ავითარებს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და კულტურულ მემკვიდრეობას.
ამ თავის მეშვეობით ეზიარები ხალხური ოსტატების მიერ შექმნილი ნაწარმოებების, კერამიკის ნაკეთობების, ქვასა და ხეზე კვეთის, მეტალის მხატვრული დამუშავების, ქარგვისა და ხალიჩების ქსოვის ხელოვნების საიდუმლოებას.
შეიტყობ, თუ რას ნიშნავს ნიშან-სიმბოლოები ჩვენს დრომდე მოღწეულ უძველეს გამოსახულებებზე, გაეცნობი ხალხურ შემოქმედებაში სილამაზის გამოსახვის ძირითად საშუალებებს – ფორმას, ორნამენტსა და მოხატულობას – და შეძლებ მათ საკუთარ შემოქმედებაში გამოყენებას.

1. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და დრო

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორ წარმოიშვა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
- რა როლს ასრულებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ადამიანების ცხოვრებაში.

ჩვენ გარშემო მრავალი სხვადასხვა ნივთია. ზოგიერთი მათგანი ძალიან უბრალოა, ზოგიერთი კი ოსტატურადაა მორთული და სილამაზით გამოირჩევა. ყველა ეს ნივთი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას მიეკუთვნება.

ცნება „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“ შენ ადრეც გსმენია, მაგრამ, ალბათ, კარგად არ გესმოდა მისი აზრი. სიტყვა „დეკორი“ ლათინურად „ვრთავ“, „ვალამაზებ“ ნიშნავს, ხოლო „დეკორატიული“ – „მორთულს“.

გაიხსენე.



- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რომელ სახეობას მიეკუთვნება მოცემული ნივთები და მათი ფრაგმენტები?

?

- როდის ჩაისახა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება?
- რა შეგიძლია თქვა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეობებზე?

ქვის, თიხისა და ხის პირველი ნაკეთობების შექმნისას ადამიანი მათ სხვადასხვაგვარი მოხატულობებითა და ჩუქურთმებით ამკობდა – ეს იყო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დასაწყისი. ამიტომ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ერთ-ერთ უძველეს დარგად ითვლება.

პირველი მოხატულობა, რომლითაც ძველმა ადამიანმა ჭურჭელი მორთო.

ნივთების შემამკობელი ბუნების მოტივები – მცენარეების, ფრინველების, ცხოველების გამოსახულებები – უჩვეულო და რეალობას მოწყვეტილი გეჩვენება. ხელოვანმა ისინი განაზოგადა და მხატვრულ სახეებად აქცია. ეს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თავისებური ენაა. იგი გვეხმარება ნივთის სილამაზის, დეკორისა და შინაარსის გაგებაში.

მცენარე (ნარშავი)

ფრინველი (ოფოფი)

ცხოველი (აქლემი)

აზერბაიჯანული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორია ძალიან ძველია. კერამიკა, მინის ნაკეთობები, ხესა და ქვაზე კვეთა, მეტალის მხატვრული დამუშავება, ქარგვა, ხალიჩების ქსოვა და საიუველირო საქმე – ჩვენი ქვეყნის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველაზე მეტად გავრცელებული დარგებია.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ისევე მრავალფეროვანია, როგორც გარემომცველი სამყარო. ჩვენს პლანეტაზე მრავალი ერი ცხოვრობს. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია საგნების, ორნამენტებისა და სიმბოლოების, ხატოვანი სახეებისა და მოტივების, ფერთა შეთანხმების თავისებური ფორმა.

დღესაც, ისევე როგორც წარსულში, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ქმნის გარემოს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, ალამაზებს ადამიანების ყოველდღიურ ყოფას, მათ ცხოვრებას უფრო მიმზიდველსა და საზეიმოს ხდის.

? რა ძირითადი თვისებები ახასიათებს დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას?

ფერადი ფანქრები
ფლომასტერები
გუაში

შემოქმედებითი საქმიანობა. დახატე ნივთები, რომლებიც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგს – მეთუნეობას, ხესა და ქვაზე კვეთას, მეტალის მხატვრულ დამუშავებას, ქარგვას და ხალიჩების ქსოვას, საიუველირო საქმეს – მიეკუთვნება.

2. ბუნების სიმბოლოები უძველეს გამოსახულებებში

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- ხალხურ ხელოვნებაში სიმბოლოების მნიშვნელობას.
- რატომ ამკობდა ადამიანი საგნებს.

მითური ფრინველი, კეთილშობილი ცხენი, ადამიანის ფიგურა, უჩვეულო ხეები... ვინ და როდის მოიგონა ეს ხატოვანი სახეები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა? რას გამოხატავდნენ ისინი?

ჩვენი წინაპრები თავიანთ ნაკეთობებს უბრალო ორნამენტებით ამკობდნენ. ისინი ცდილობდნენ გაერკვიათ, როგორაა სამყარო მოწყობილი, აეხსნათ იდუმალი და შეუცნობელი მოვლენები.

შემოქმედებითი კვლევა: **ხატოვანი სიმბოლოების ენა დეკორატიულ ხელოვნებაში.**

ადამიანი თავის წარმოდგენებს სამყაროზე პირობითი ხატოვანი ნიშნებით გამოხატავდა.

ხალხურ ხელოვნებაში მზის სიმბოლო იყო წრე მასში გამოსახული ურთიერთგადამკვეთი ხაზებით. ამ სიმბოლოს გამორჩეული ნიშანი განშლადი სხივებია.

მზე

რომბი და ურთიერთგადამკვეთი ხაზები (წრეხაზის გარეშე) ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ნაყოფიერება



წყალი

სწორი და დახრილი, ტალღოვანი და წყვეტილი ხაზები წყლის სიმბოლო იყო.

მიწა

წრე, შიგ ჩახატული რომბით, პატარაპატარა რგოლებიწერტილები, ჰორიზონტალური სწორი ხაზები მიწის სიმბოლო იყო.

ჩვენი წინაპრები ამ ხატოვანი სიმბოლოებით ამკობდნენ საგნებს.

- გვიამბე სიმბოლური ფორმის შესახებ, რომელშიც გამოსახულია მზის, მიწის, ნაყოფიერებისა და წყლის ნიშნები.
- რა მნიშვნელობა აქვთ სიმბოლოებს?

შემოქმედებითი კვლევა: **სიმბოლოები დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.** ხალხური ხელოვნების ნაწარმოებებში გვხვდება დატოტვილი მცენარის გამოსახულება, ზოგჯერ მსხვილი ყვავილებით, ნაყოფებით, ხილით ან ფრინველებით. ეს სიცოცხლის ხეა. ხალხურ წარმოდგენებში სიცოცხლის ხე მარად ცოცხალი, აყვავებული ბუნების სიმბოლო იყო. იგი სიმბოლურად გვარის ბედნიერ გაგრძელებას განასახიერებდა.



აქლემის, თხისა და ცხენის სიმბოლოები ხალხური ხელოვნების ყველაზე ძველი და საყვარელი ხატოვანი სახეებია. ძველად ადამიანებს სწამდათ, რომ ფრინველებს წკრიალა გალობით შეეძლოთ ზამთრის გაძევება და ფრთებით მშვენიერი გაზაფხულისა და თბილი ზაფხულის მოყვანა. ფრინველები სინათლესა და სითბოს განასახიერებდნენ.

ყველა ეს გამოსახულება დამცავ სიმბოლოებად ითვლებოდა.

ფრინველი *აქლემი* *თხა* *ადამიანი* *ვარსკვლავი* *დრაკონი*

- დაათვალიერე სიცოცხლის ხეზე გამოსახული ძველი სიმბოლოები და ახსენი მათი მნიშვნელობა.
- რომელი ნიშან-სიმბოლოები განასახიერებს ბუნებას?
- როგორ აისახა ძველ ხალხური ხელოვნების ხატოვან სახეებში სიმბოლოების მნიშვნელობა?

ძველი მიწათმოქმედი ბუნების მოვლენებს ცოცხალი არსებებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ანიჭებდა და მათ ფრინველებს, ცხოველებს, ფანტასტიკურ არსებებს ამსგავსებდა. ამ წარმოდგენებს იგი ფერისა და ხატოვანი სახეების მეშვეობით გადმოსცემდა. ფერი სიმბოლოს ფუნქციასაც ასრულებდა: მაგალითად, წითელი და ყვითელი ფერები სიცოცხლის სიმბოლოდ ითვლებოდა, თეთრი კი – სისპეტაკის.

შეეცადე, განსაზღვრო სიმბოლოების მნიშვნელობა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებში.

საკიდარი

ფარდა ნიშისთვის

კერამიკული ფორმა ცომზე ორნამენტის გამოსახვისათვის



ფოლადის ფარი

ზარდახშა

ნიშანი არის არა გამოსახულება, არამედ **აღნიშვნა**, **სიმბოლო**, რომელიც გარკვეულ, ყველასათვის გასაგებ აზრს გამოხატავს.

ფლომასტერი, გუაში, პლასტილინი

შემოქმედებითი საქმიანობა. შეეცადე, გამოსახო ძველებური ხატოვანი სახეები ნაქარგზე, ხალიჩასა და ხეზე. შენ შეგიძლია დახატო იგი ფლომასტერით „ნაქარგზე“, გუაშით – „ხალიჩაზე“, ხოლო „ხეზე ამოკვეთილი ორნამენტი“ პლასტილინზე გამოსახო.

3. აზერბაიჯანული ქოხის შიდა მოწყობილობა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორ იყო მოწყობილი ქოხის შიდა სივრცე (ინტერიერი).
- როგორი იყო გლეხური ყოფის საგნები.

მთის ფერდობებსა და მთის ძირას გაბნეულ სახლებსა და ქოხებს ხალხში კიდევ ერთი სიტყვით მოიხსენიებენ – მშობლიური კერა. ადამიანისთვის მშობლიური კერა მშობლიური მიწა, ოჯახი და ცხოვრების წესია. ამიტომ სახლის ინტერიერის მოწყობისას ადამიანი ცდილობდა, მოეწესრიგებინა იგი, მოერთო ნივთებით, რომლებსაც მისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ, ანუ შეევსო ხატოვანი სახეებით.

გაეცანი: **ქოხის ინტერიერის ელემენტები.**

საგანგებო ჩარღმავებები – სხვადასხვა ფორმის ნიშები და თაროები კედელში – ინტერიერში ავეჯის მაგივრობას ასრულებდა და დეკორატიულ ელემენტებს წარმოადგენდა. კედლის ნიშებს მოქარგული ფარდებით ფარავდნენ.

ქოხში ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა: მრგვალ ბალიშებს (მუთაქას) და ლეიბებს, ფარდაგებს და ქილიმებს, პურის ბოხჩას, რომელიც დოვლათის ნიშნად ითვლებოდა, შანდლებს, სკივრს, სართავ ჯარას, აკვანს და ჭურჭელს.

ინტერიერი – შენობის შიდა სივრცე

ქოხის მთავარ ნაწილში მოთავსებული სკივრი მის ყველა საიდუმლოს ინახავდა. ხის მართკუთხა სკივრში, რომელიც მეტალის თხელი ფირფიტით იყო მოჭედილი, სადღესასწაულო ტანისამოსი და სამკაულების ზარდახშა ინახებოდა.

გლეხის სახლში უსარგებლო ნივთს ვერ ნახავ: ქვეშაგები, სართავი ჯარა, სადღვებელი, თიხის ქოთანი – ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. შანდლები და ლამპები კი ფანჯრის რაფაზე ან ერთ-ერთ ნიშში ინახებოდა.

შემოქმედებითი კვლევა: **დაჰმის ინტერიერი.**
ვერანდას რომ გაივლი და ქოხში შედიხარ, პირველად იმას გრძნობ, როგორ არის ის გაჯერებული ბუნების სულით. სულ ზედა ნიშში, რომელსაც დეკორატიულ ნიშს უწოდებენ, მოწესიგებულადაა ჩამწკრივებული სპილენძის ლანგრები, ქაფქირი, თიხისა და სპილენძის ქოთნები. სამკუთხა ფორმის დასაკიდებლები, რომლებიც ორნამენტითაა შემკული, მას განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს. საცხოვრებლის ძირითად ნაწილში, ხალიჩაზე სახლის პატრონის იარაღი ეკიდა. ქოხს სილამაზეს სძენდა ასევე მრგვალი ფორმის მოგრძო ბალიშები (მუთაქები) და ლეიბები. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები გლეხის ოჯახის ცხოვრებაში სახლის ამ ნაწილში ხდებოდა. ყველაზე ძვირფას სტუმარს აქ უშლიდნენ სუფრას. ბოხჩა პურით, რომელიც დოვლათის გამოხატულებად ითვლებოდა, ჭერში იყო დაკიდებული.

დაასხელე აზერბაიჯანული ქოხის შიდა მოწყობილობის ძირითადი ნიშნები.

დეკორატიული ნიში – ჩაღრმავებული ადგილი ჭერქვეშ, კედლის გაყოლებაზე, სადაც ჭურჭელს დგამდნენ.
თახჩა – თაროებად დაყოფილი ჩაღრმავება კედელში, რომელიც ჭურჭლისთვის იყო განკუთვნილი.
ჯამაჰათანი – ოთხკუთხა ჩაღრმავება კედელში საბნებისა და სკივრების შესანახად.

ყველაზე მეტ ადგილს ქოხში **ხანა** – საფეიქრო დაზგა იკავებდა. მასზე ქალები ხალიჩებს ქსოვდნენ. ამ უბრალო დაზგებზე იქმნებოდა ძალიან ლამაზი ხალიჩები.
ამ დაზგაზე იქსოვებოდა იატაკზე დასაფენი, ნაირფერი ზოლებითა და ორნამენტით მორთული ფერადოვანი ფარდაგები და ქილიმები.

- რა საყოფაცხოვრებო სცენაა გამოსახული ამ ნახატზე? გვიამბე შენთვის ცნობილი ყოფითი ნივთების შესახებ.

აბას ჰუსეინი.
აზერბაიჯანული ოჯახი.

გლეხური სახლი ნამდვილი სიბრძნის კერა იყო. ცხოვრების წესი მთლიანად ოჯახის საყოფაცხოვრებო და შრომით მოთხოვნილებებს ემორჩილებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, მას წესრიგი და ჰარმონია შემოჰქონდა. ქოხის ინტერიერი, რომელმაც ამდენი საღი აზრი და სიბრძნე დაიტია, ნიჭიერი აზერბაიჯანელი ხალხის მიერ შექმნილი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია.

ფლომასტერი, გუაში, აკვარელი

შემოქმედებითი საქმიანობა. დახატე აზერბაიჯანული ქოხის ინტერიერი. თავდაპირველად ვერტიკალური ხაზით მონიშნე სახლის კუთხე, შემდეგ მოხაზე იატაკისა და ჭერის საზღვარი, არ დაგავიწყდეს ადგილის განსაზღვრა თაროებისა და ნიშებისთვის. შეავსე ინტერიერი დეკორითა და ნივთებით.

- რით განსხვავდება ქოხის ინტერიერი თანამედროვე სახლის ინტერიერისგან?
- იპოვე და დააათვალიერე სხვა ხალხების გლეხური სახლების ინტერიერები.

4. ხალხური ყოფის საგნები – ფორმა და დეკორი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- საგნის ხატოვან წყობაში ფორმისა და დეკორის ერთიანობის შესახებ.
- რა თვისებები აქვს საყოფაცხოვრებო საგნების დეკორს.

უფრო ახლოს გავეცნოთ ხალხური ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც ადამიანს ყოველდღიურ ყოფაში ეხმარება და დღესასწაულების დროს გამოიყენება.

მიუხედავად დანიშნულებისა და ფორმისა, დეკორის ფერადოვნება, მოჩუქურთმებული ელემენტების სიმეტრიულობა, თვლებისა და ნაქარგების ნაირფერობა არა მარტო თვალს ახარებდა, არამედ სიკეთისა და დოვლათის მომტან ნიშან-სიმბოლოებსაც წარმოადგენდა.

ყოველი ასეთი საგანი გარკვეულ პირობებში იქმნებოდა, თავისებური მეთოდით, ამიტომ მხატვრული გამოსახულებები საგნებზე სხვადასხვა ინსტრუმენტებით დაიტანებოდა: ხალიჩებს თვლებისგან ქსოვდნენ, თიხას ხელით ზელდნენ და ძერწავდნენ, ხეს სატეხით კვეთდნენ, სპილენძზე მდიდრული ორნამენტებს მჭრელი ინსტურმენტებით ამოკვეთდნენ, თითბერს კი ალღობდნენ და ფორმებში ასხამდნენ.

ხელოვნების ნაწარმოებები: **საყოფაცხოვრებო საგნების დეკორი.**

თიხის ქასასა და ქოთანზე გამოსახული ორნამენტები ბუნებას ასხამენ ხოტბას. მიუხედავად იმისა, რომ ეს საგნები ერთი და იმავე მასალისგანაა დამზადებული, მათზე გამოსახვის მეთოდი სხვადასხვაგვარია: ქასას დეკორი რბილი, სიმეტრიული და ფერადია, ხოლო ქოთნისა – ხისტი, გეომეტრიული და ერთფერი.



ქასა (თასი)

გიუვეჯი (ქოთანი)

ჭიქური – კერამიკის ნაკეთობების მინისებრი ფენა, რომელიც მათ წყალგაუმტარობასა და ბრწყინვალებას სძენს.
გიუვეჯი – თიხის ვიწროყელიანი ქოთანი.

შემოქმედებითი კვლევა: საყოფაცხოვრებო ნივთების დეკორი.

1. კოვზი შარბათისთვის. 2. სპილენძის ლანგარი. 3. სერნიჯი. 4. ქოთანი.

- რა მეთოდითაა დატანილი დეკორი შარბათის კოვზზე, ლანგარზე, სერნიჯზე და ქოთანზე? რას გამოხატავს ორნამენტები საგნებზე?

საყოფაცხოვრებო ნივთების მშვენებად არა მარტო ორნამენტი, არამედ მათი ფორმაც ითვლება. მიაქციე საგნების ფორმას ყურადღება.

შემოქმედებითი კვლევა: საყოფაცხოვრებო საგნების ფორმა.

ძველებური თიხის ჭურჭელი

შანდალი *წყლის ქოთანი* *კათხა*

- როგორაა გამოსახული ბუნების ხატოვანი სახეები ამ ჭურჭლის ფორმაში?
- რატომ ამსგავსებდა ძველი ადამიანი ჭურჭელს ბუნების ხატოვან სახეებს?

შემოქმედებითი კვლევა: საყოფაცხოვრებო საგნების ფორმა და დეკორი

ტოლჩა *სერპუში* *ქიუზე* *სეხენგი (თუნგი)*

- რა შეიძლება ითქვას ქიუზესა და სეხენგის დანიშნულებაზე, მათ ფორმაზე, ორნამენტზე?
- რა მეთოდით იყო დამზადებული ეს ჭურჭელი?

ტოლჩის ამაყი სილუეტი ფარშევანგის გამოსახულებით და ყელით, რომელიც ნისკარტს მოგვაგონებს, ფორმისა და ხატოვანი სახის ერთიანობის ნიმუშია. ფრინველის გამოსახულება ფხიზელი დარაჯია იმ მადლისა, რომელიც ჭურჭელშია.

თუ მაგიდაზე ლანგარი და სერპუშია, ეს ნიშნავს, რომ ოჯახში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. სამეფო კერძი – ფლავი – მაგიდაზე ამ ჭურჭლით მიჰქონდათ.

მართალია სპილენძის სერპუშის ხუფის ფორმა მეომრის მუზარადს მოგვაგონებს, მაგრამ მისი მორთულობის დეკორი სიუხვისა და კეთილდღეობის სიმბოლოებითაა შექმნილი.

ფერადი ფანქრები, გუაში, ფლომასტერები.

შემოქმედებითი საქმიანობა. შეადგინე კომპოზიცია საყოფაცხოვრებო საგნებისგან. ჯერ საგნების ფორმა მოიფიქრე, შემდეგ კი სათანადო დეკორი შეარჩიე. შეეცადე, ნივთის მასალა წარმოაჩინო. შეგიძლია ისარგებლო ქვემოთ მოყვანილი სილუეტების ფორმებით.

5. ხალიჩების მოხატულობა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:
- ხალიჩების მოხატულობის სახელწოდებასა და დანიშნულებას.
- არშიის მოტივების ნაირსახეობას.

ხალიჩები, რომლებიც ბუნების მთელ სილამაზეს გადმოსცემს, ყველა სხვა საყოფაცხოვრებო საგნისგან სიმბოლოებისა და ფერების სიმდიდრით განსხვავდება.

ხალიჩებში სიმბოლოების პირობითი ენის მეშვეობით ხორცშესხმულია ადამიანების წარმოდგენა სამყაროზე, ცხოვრების წესზე. ხალიჩის სული თავის ასახვას სხვადასხვა ფერებსა და სახასიათო მოხატულობაში პოვებს. ყოველ მოხატულობას თავისი სახელწოდება და დანიშნულება აქვს.

შემოქმედებითი კვლევა: **ხალიჩის მოხატულობის ელემენტები.**
თუ ყურადღებით დავათვალიერებთ ხალიჩების მოხატულობის ელემენტებს, შევამჩნევთ, რომ ბუნებაში ასეთი მცენარეები, ფრინველები და ცხოველები არ არსებობენ. ეს სიმბოლოებისა და ნიშნების **სტილიზებული** სამყაროა.



ვარსკვლავი *დილიქლი*

კაუჭი



დამღა

ბუთა *გიული*



ქილიმგიული

მითური არსებები



დევი *დრაკონი*

ფრინველი (ოფოფი) *ფარშევანგი* *იხვი* *ქათამი* *მამალი*

აქლემი *ჯეირანი* *ძაღლი*

- რა ნიშნებითაა დაჯგუფებული ბუნების ხატოვანი სახეები?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან რეალური და პირობითი გამოსახულებები?

სტილიზებული (სტილიზაცია, მეთოდი) – ეს არის ნიმუშის ფორმის შეცვლა გამოსახულების გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს მორთულობის, ფერადოვნების, მოხატულობის გამოვლენას; ფორმის განზოგადება, რათა ხატოვან სახეს უფრო მეტი გამომსახველობა მიენიჭოს.

შემოქმედებითი კვლევა: არშიის მოტივების ნაირსახეობები.

არშიაზე გამოსახულია სხვადასხვა გეომეტრიული **მოტივი**, რაც ხალიჩის კომპოზიციას დასრულებულ სახეს აძლევს. ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების სტილიზებული გამოსახულებები არშიის ძირითადი ელემენტებია.



არშიის გამოსახვის ეტაპობრივი თანმიმდევრობა.



შემოქმედებითი საქმიანობა. მოიფიქრე სხვადასხვა მოტივი და შეეცადე, მათ საფუძველზე შექმნა არშიის მოხატულობა. არშია შეგიძლია მოხატო მცენარეების, ცხოველების ან ფრინველების გამოსახულებებით. შეგიძლია მას სხვადასხვა ხაზი დაამატო. ორნამენტის ფერის შერჩევისას გაითვალისწინე: არშიის ფონის ფერი შეიძლება იყოს უფრო მუქი, ხოლო მოხატულობის ელემენტებისა – კონტრასტული.

გუაში, ფლომასტერი, ფერადი ფანქრები

რომელი სიმბოლოებია ძირითადი ხალიჩის მოხატულობაში?
როგორ იქმნება მოხატულობა ხალიჩაზე?

მოტივი – სიუჟეტური ორნამენტის ძირითადი ელემენტი.

ორნამენტი – მოხატულობა, რომელიც აგებულია მოხატულობის ელემენტების რიტმული მონაცვლეობითა და მოწესრიგებული განლაგებით.

6. კომპოზიცია აზერბაიჯანულ ნაქარგებში

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რა სახის ნაქარგები არსებობს.
- რა არის დახურული და ღია კომპოზიცია ნაქარგებში.

მოხატულობა და სიმბოლოები, რომლებითაც ხალიჩებსა და მხატვრულ ქსოვილებს, ტანისამოსსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს ამკობდნენ, დეკორატიული ხელოვნების ისეთი დარგის ნიმუშებია, როგორიცაა ნაქარგობა. ამ ნაქარგების მოტივები, კომპოზიციური წყობა, გამოყენებული მასალები სხვადასხვანაირი იყო. ყოფაში ფართოდ იყო გავრცელებული ნაქარგების სახეობა „გულიაბათინი“ (ოქრომკედით ქარგვა), „თექელდუზი“ (კილოკავისებრი ქარგვა), „ფილაქი“ (ბზინებით – კილიტებით ქარგვა), „ტოზმუნჯული“ (მძივებით ქარგვა) და სხვა. ქარგვის საიდუმლოებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ნაქარგობის სახეობებს შორის ყველაზე ძველი ოქრომკედით ქარგვაა. საფუძვლისთვის საუკეთესო მასალა ერთი ტონალობის – წითელი, ბორდოსფერი, იისფერი ან მწვანე – ხავერდი იყო.

ოქრომკედით ქარგვისთვის ოქროს ან ვერცხლის ძაფები გამოიყენებოდა. ამ სახეობის ნაქარგს გულიაბათინს უწოდებდნენ. სიტყვა „გულიაბათინი“ იერს, სახეს ნიშნავს. ამ სახეობის ნაქარგის კომპოზიციებში შესამჩნევია ტალღოვანი, გადაჯვარედინებული, წყვეტილი ხაზები. ოქრომკედის ნაქარგით უმეტესად ქალის ზედა სამოსს, თავსაბურავებს, საყოფაცხოვრებო საგნებს ამკობდნენ.

შემოქმედებითი კვლევა: **ღია კომპოზიცია ნაქარგებში.**

მარტივი ნიშან-მოხატულობების გამეორებით იქმნება რიტმული ორნამენტული არშია – *ღია კომპოზიცია.*

არშია- მოხატულობით შემკული ზოლი - ქმნის ღია კომპოზიციას

ნაქარგი გულიაბათინი. არახჩინი

ნიშან-მოხატულობები არახჩინზე

- რის სიმბოლოა ორნამენტები არახჩინზე?
- რას აღნიშნავს სწორი და ტალღოვანი ხაზები?
- რა თავისებურებები ახასიათებს გულიაბათინის ნაქარგს?

იმ ნაქარგებს შორის, რომლებიც ფერადი აბრეშუმის ძაფებით იქარგებოდა, ყველაზე ფართოდ თექელდუზი იყო გავრცელებული. კილოკავისებრი ნაქარგების წარმოების ცენტრი ქალაქი შექი იყო. კილოკავისებრი ნაქარგის საფუძვლად გამოიყენებოდა წითელი, შავი და მუქი ლურჯი ფერის თხელი ხავერდი და მაუდი. ამ მეთოდით ამკობდნენ ქალის ტანისამოსს, ბალიშებს, გადასაფარებლებს. ეს ნაქარგი სხვებისგან გამოირჩეოდა თავისი კონტრასტულობით, რელიეფური კონტურით. მისთვის დამახასიათებელია სიმეტრიული კომპოზიცია, ერთმანეთში გადაწნული მცენარეების და ფრინველების გამოსახულებანი.

შემოქმედებითი კვლევა. **დახურული კომპოზიცია ნაქარგებში.**
დეკორატიული კომპოზიციის ძირითადი გამომსახველობითი საშუალებებია ფორმა, ხაზი, ფერისა და ტონის რიტმი. ისინი შეადგენს დეკორატიული სახეების, გამოსახულებებისა და ორნამენტის შექმნის საფუძველს.

ნაქარგი თექელდუზი. *ბალიშისპირი.*

დახურული კომპოზიცია საგნის ფორმას შეესაბამება. დახურული კომპოზიციების ნიმუშები. სქემა.



- რა სიმბოლოებს მოგაგონებს კომპოზიციის სქემების საერთო ხედი?
- რა სახასიათო თავისებურებები აქვს თექელდუზის ნაქარგს?
- რა უნდა იყოს გათვალისწინებული დახურული კომპოზიციის შექმნისას?

ქარგვა მძივებით. აბრეშუმის ძაფების გარდა, ნივთების მორთვა ხდებოდა პატარა მძივებით, ბისერით, მარგალიტის თვლებით. ძაფზე აცმული პატარ-პატარა ფერადი მძივების მარცვლები ქსოვილზე მოკიაფე ვარსკვლავებს ჰგავდა და ნებისმიერ სიუჟეტს აცოცხლებდა.

შემოქმედებითი კვლევა: **ღია და დახურული კომპოზიცია ნაქარგებში**.

ნაქარგი **მძივებით**. სათუთუნე *(ტომსიკა)*



ნაქარგი კილიტებით (ფილაქი). მომცრო ზომის ფირფიტები (კილიტები) ორნამენტზე ეკერებოდა და მის ფორმას იმეორებდა. ამ ნაქარგის ძირითადი მოტივები მცენარეების, სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის, მითოლოგიური არსებების გამოსახულებები იყო.

შემოქმედებითი კვლევა: **ღია და დახურული კომპოზიცია ნაქარგებში.**

ნაქარგი **ფილაქტიკმა.** *ბალიშისპირი.*



ფერადი ფანქრები,
ფლომასტერები,
ფერადი ავტოკალმები

შემოქმედებითი საქმიანობა. მოამზადე ნაქარგის ერთ-ერთი სახეობის ესკიზი. არ დაგავიწყდეს მისი სახასიათო ნიშნების მითითება. შეაგროვე ინფორმაცია სხვა სახის ნაქარგების შესახებ. შეეცადე, ახსნა მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

რა თავისებურებები ახასიათებს მძივებით ქარგვას?
სად შეიძლება ვიხილოთ ღია და დახურული კომპოზიცია?

7. ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რას ინახავენ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმებში.
- რას წარმოადგენს ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიცია.

მოვაწყოთ ექსკურსია მუზეუმში, სადაც ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა ინახება. აზერბაიჯანის ეროვნული მუზეუმი და სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი-ნაკრძალი გალა ის ცენტრებია, სადაც სხვადასხვა ეპოქების მატერიალური ფასეულობების შეგროვება, შესწავლა და დემონსტრაცია ხდება.

აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმი

შექმნის ისტორია. აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმი ცნობილი ნავთობმაგნატისა და მეცენატის ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის სახლში მდებარეობს, რომელიც 1895-1901 წლებში აშენდა. 1921 წლის მაისში მუზეუმის კარი გაიხსნა პირველი დამთვალიერებლებისთვის.

თავდაპირველად აქ მდებარეობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ასევე ბოტანიკისა და ზოოლოგიის, მინერალოგიისა და გეოლოგიის, სახვითი და მხატვრული ხელოვნების მუზეუმები, სახალხო განათლების განყოფილებები, უძველესი ძეგლების დაცვის კომისიები.

არქეოლოგიის ფონდი პირველყოფილი ადამიანის წარმოშობის, განვითარებისა და ფორმირების ისტორიას შეისწავლის. ამ ფონდში, სადაც 80 000-ზე მეტი ექსპონატია მოგროვილი, ინახება და საჯაროდაა გამოფენილი ქვის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის ხანისა და ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქების მატერიალურ-სულიერი კულტურის ნაწარმოებები.

ექსპოზიცია 1 **არქეოლოგია**

ვიტრინაში გამოფენილი ქაშანურის ჭურჭელი ანტიკურ ხელოვნებას მიეკუთვნება. თიხის ჭურჭლის დამზადებისას მეთუნე მას ცხოველის ფორმას აძლევდა, ცხოველის ფორმის სახელურს უკეთებდა, ან მასზე ცხოველების გამოსახულებას ამოკვეთდა.

- რა არის ექსპოზიცია?
- რის გამოსახულებებს მოგვაგონებს ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნიმუშები?

ეთნოგრაფიის ფონდი შეისწავლის ინფორმაციას აზერბაიჯანელი ხალხის შესახებ – მის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ფონდში 9000-ზე მეტი ექსპონატია შეგროვებული: ქვის შრომის იარაღები, სპილენძის, ბრინჯაოს, მეტალის, თიხის და კერამიკის საყოფაცხოვრებო საგნები, სამკაულების ნიმუშები.

ექსპოზიცია 2 ეთნოგრაფია

სპილენძის ჭურჭელი შარბათისთვის, შანდლები, ქასა, დოქები, მოჭიქული (მომინანქრებული) და ქაშანურის ქოთნები, კარაქის სადღვები, ხისა და მეტალის შრომის იარაღები, ფაიფურის ნატიფი ჭურჭელი აზერბაიჯანული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მარგალიტებად ითვლება.

ექსპოზიციის დანარჩენი ნაწილი, რომელიც მუზეუმში ინახება, ეროვნული სამოსისა და ნაქარგების ნიმუშებია.

- რაში გამოიხატება ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ფონდების ძირითადი საქმიანობა?
- გვიამბე ვიტრინაში გამოფენილი ტანისამოსისა და ჭურჭლის ფორმის, დეკორისა და იმ მასალის შესახებ, რომლისგანაც ისინია დამზადებული. როგორ მოიხმარდნენ ამ ნივთებს?

არქეოლოგია – ბერძნულიდან „archaios“ – „ძველებური“ და „logos“ – სიტყვა, მეცნიერება. მეცნიერება, რომელიც ძველი მატერიალური კულტურის ნიმუშებს შეისწავლის.
ეთნოგრაფია – ბერძნული სიტყვიდან „etnos“– ხალხი, „qrafis“ – გამოსახულება. მეცნიერების ძირითადი მიზანი ხალხისა და მისი ისტორიის შესწავლაა.
ანტიკური – ლათინური სიტყვა „antiquus“ – ძველებური.
ჭიქური – გამჭვირვალე დამცავი ნივთიერება (მინის მაგვარი), რომლითაც მეთუნეები თავის ნაკეთობებს ფარავდნენ.

ცნობილი აზერბაიჯანელი მეცენატის ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის სახელის უკვდავსაყოფად მის სახლში გახსნილი აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმის 9 ოთახში მისი სახელობის მუზეუმია შექმნილი.

ჰ.ზ. თაღიევის მუზეუმი (ფრაგმენტები)

სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გალა

აფშერონის ნაკეკვარკუნძულის მრავალ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის არის ძველი დასახლება – **გალა**. აფშერონის კულტურულ მემკვიდრეობაში ეს ტერიტორია თავისი ისტორიითა და როლით გამოირჩევა. რადგან მთელი ეს ტერიტორია სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება, მას ნაკრძალს უწოდებენ. ნაკრძალი შექმნილია დასახლების ისტორიულ ნაწილში, რომელსაც „გალა“ ეწოდება.

სიტყვა „გალა“ ნიშნავს „მიუდგომელ ადგილს“, მაგრამ ხალხური გადმოცემით, დაბის დასახელება მოდის სიტყვიდან „გიალლა“, რაც თავთავს, მარცვლეულს, დოვლათს ნიშნავს.

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული სამუზეუმო კომპლექსი გალა

დაბამ ნაკრძალის სტატუსი 1988 წელს მიიღო. 2008 წელს ნაკრძალის ტერიტორიაზე შეიქმნა არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული სამუზეუმო კომპლექსი ღია ცის ქვეშ, სადაც შეკრებილი და აღდგენილია აფშერონის ნახევარკუნძულის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები.

შემოქმედებითი კვლევა: **სოფლის სახლის ინტერიერი და ყოფა.**

ტრადიციული სოფლის სახლი **გალაში** ორი-სამი ოთახისგან შედგებოდა. ერთი ოთახი გამოიყენებოდა, როგორც სამზარეულო, დანარჩენები კი სასტუმრო და საძინებელ ოთახებად.

სამზარეულო

სამზარეულოში იყო თენდირი (თიხის საცხობი), კერია და წყლის სადინარი.

კვამლი თენდირიდან და კერიიდან საჭმლის მომზადების დროს სახურავიდან გაიწოვებოდა მილით, რომელსაც **დუბლა** ეწოდებოდა.

სასტუმრო ოთახი ნიშების, თაროებისა და ჯამაჰათანისგან შედგებოდა. ნიშები

ტრადიციულად კედლის გაყოლებაზე, ფანჯრის დონეზე კეთდებოდა. მათზე ქასას და სპილენძის ჭურჭელს დგამდნენ. კედელზე ბევრი სხვადასხვა ზომის ხის თარო იყო.

ოთახების გასათბობად იყენებდნენ ქიურსუს (მაგიდას). საჭმლის მომზადების შემდეგ კერიაში ნახშირის ნარჩენებს აგროვებდნენ, მაყალში ყრიდნენ, ზემოდან სპეციალურ საბანს – ქიურსუს აფარებდნენ, რომლითაც თბებოდა მთელი ოჯახი.

- რით შეიძლება ჩანაცვლდეს დუბლა, ნიშები, თაროები, ჯამაჰათანი და ქიურსუ თანამედროვე სახლში?
- როგორ შეიცვალა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი ძველ დროსთან შედარებით?

შემოქმედებითი კვლევა: **ხელოსნობა – მეთუნეობა და მეტალის დამუშავება.**
დაბა **გალაში** ხალხური რეწვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული დარგები იყო მეთუნეობა და მეტალის დამუშავება.

მომცრო სახელოსნოებს, სადაც რკინას ჭედდნენ, სამჭედლოები ეწოდებოდა. აქ აკეთებდნენ ნალებს და ცხენებს აკრავდნენ.

- მეთუნეობისა და მეტალის დამუშავების რომელი თანამედროვე ნიმუშებია შენთვის ცნობილი?
- როგორ გამოიყენებენ მათ ამჟამად ყოფა-ცხოვრებაში?
- აზერბაიჯანის კიდევ რომელი ნაკრძალებია შენთვის ცნობილი?

გალას სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაკრძალის როლი ნაციონალური და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და პროპაგანდაში ძალზე მნიშვნელოვანია.

ფერადი ფანქრები, ცარცები ფლომასტერები

შემოქმედებითი საქმიანობა, დახატე ექსპოზიცია, რომელიც ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს ეძღვნება. იგი შეიძლება შედგებოდეს ხელოსნების მიერ დამზადებული ნაკეთობებისგან ან შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლი. დავალებაში შეგიძლია გააერთიანო წარსული და აწმყო.
მაგალითად, დახატე თანამედროვე სახლი და დაასრულე მისი ინტერიერი ძველებური ყოფითი ნივთებით. ექსპოზიცია შეგიძლია შექმნა საკლასო ოთახში ან სახლში.

www.azhistorymuseum.az, http://gala-museum.org

- რა არის აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიის მუზეუმისა და გალას სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმ-ნაკრძალის ძირითადი მიზანი?
- რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

წინაპართა მემკვიდრეობა – ხალხური კოსტიუმი და აზერბაიჯანული ხალიჩები

ჩვენი წინაპრების ცხოვრების წესი ეროვნული კოსტიუმის და ხალიჩების მოხატულობასა და სიმბოლოებში აისახება. ხალიჩის სული მის მოხატულობასა და ნიშან-სიმბოლოებშია. თითოეულ ორნამენტს თავისი სახელწოდება და მნიშვნელობა აქვს.
შენ გაეცნობი ამ მოხატულობის პირობით ენას, გაიგებ სიმბოლოების მნიშვნელობას.
შეიტყობ ინფორმაციას ხალხური კოსტიუმებისა და ხალიჩების სახეობების შესახებ, გაეცნობი მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავ ნიმუშებს, ისწავლი მათ გარჩევას.

8-9. ხალხური კოსტიუმი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რომელია ხალხური კოსტიუმის სახასიათო ნიშნები.
- როგორი ორნამენტები ამშვენებს ხალხურ კოსტიუმს.

ბუნების ხატოვანმა სახეებმა, ხალხის ყოფამ და ცხოვრების წესმა ხალხურ კოსტიუმში ჰპოვა ასახვა. მიუხედავად ადგილობრივი ტრადიციების მრავალფეროვნებისა, ტანისამოსს ყოველთვის ჰქონდა საერთო თავისებურებები – იყო პრაქტიკული, ლამაზი და მოხდენილი.

ხალხური ტანისამოსის მრავალფეროვნება

ქალის სამოსი, რომელიც სირთულითა და სილამაზით გამოირჩეოდა, თავისი ფერთა გამით მთის კაშკაშა ყვავილებს, ფერდობების სიმწვანეს და დაისის წითელ-ყვითელ ელფერებს მოგვაგონებდა.

ქალის ზედა სამოსი ძირითადად შედგებოდა ზედა პერანგის, ახალუხის, ჩეპკენის, ლებადეს, ქიურდუს, ქულაჯის და ეშმეკესგან. ტანისამოსს კერავდნენ ხავერდის, თირმის, აბრეშუმისა და ატლასისგან, უპირატესად თეთრს, წითელ, ყვითელ, მწვანე და მუქ ფერებს გამოიყენებდნენ. ქალის სამოსის დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ მათი გოფრირებული ან პლისირებული (ნაკეცებიანი) ქვედაბოლოები (თუმანები) ფერადი აბრეშუმის ძაფით ან ოქრომკედით დამზადებული პომპონებით (გოთაზებით) იყო მორთული.

ქალის მორთულობაში ასევე დიდ როლს ასრულებდა სამკაული. სამკაულები ბუნების სახეების სიმბოლური გამოსახულება იყო, ოჯახს ეკუთვნოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ქალს გულზე ეკიდა ავგაროზი (ქამაილი), რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო არა მარტო სამკაული, არამედ დამცავიც. ავგაროზი, როგორც ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

შემოქმედებითი კვლევა: **ხალხური კოსტიუმი – ფორმა და ელემენტები.**

ნაქარგს ტანისამოსზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი არა მარტო ამშვენებდა, არამედ იცავდა კიდეც ქალს. განსაკუთრებით საგულდაგულოდ იყო მორთული საყელო, ახალუხის გულისპირი და ქალის თუმანის (ქვედაბოლოს) კალთა (ბალაგი). ითვლებოდა, რომ კაბის მოხატული კალთით მიწასთან და ბალახთან შეხებისას, ქალი მიწას გადასცემდა ორნამენტში შეფარულ ნაყოფიერების ძალას, თავად კი სანაცვლოდ სასიცოცხლო ძალებს მიიღებდა.

ზურმუხტითა და ლალით მოჭედილი თავსამკაული



ქამაილი – მარგალიტით შემკული ავგაროზი

აჟურული საკიდი – გულსაკიდი

სამკლავურის ორნამენტი

ვერცხლის ქამარი



ფეხსაცმელი

თუმანის თასმებს პომპონები (გოთაზები) ეწოდებოდა. ისინი თუმანის ზედა ნაწილში სარტყელივით იკვრებოდა.

გოთაზი (პომპონი)

შეაგროვე ინფორმაცია ქალის ზედა სამოსის (ზედა პერანგი, ახალუხი, ჩეპკენი, ლებადი, ქიურდუ, ქულაჯა, ეშმეკე) შესახებ. ახსენი ტანისამოსის მოხატულობა-სიმბოლოების მნიშვნელობა.

მამაკაცის ზედა სამოსი *აბრეშუმის, ატლასის, სელისა* და სხვა ქსოვილებისგან იკერებოდა. იგი, ძირითადად, *ქუდის (ფაფახის)*, ზედა პერანგის, ახალუხის, ჩეპკენის, ჩოხისა და შარვლისგან შედგებოდა. ის, ვინც მეცხოველეობით იყო დაკავებული, ატარებდა ნაბადს *(იაპინჩის)*, რომელიც ქეჩისგან მზადდებოდა. ნაბადი იცავდა მცხუნვარე მზისგან, სიცივისგან და ქარისგან. ხშირად იგი, მიწაში ჩარჭობილ სარზე წამოცმული, საცხოვრებლის მაგივრობასაც კი უწევდა პატრონს და გადასაფარებლის როლს ასრულებდა.
ჩუხა *(ჩოხა)* – მამაკაცის წელში გამოყვანილი ზედა ჩასაცმელი, რომელსაც *გულზე გაზირები (სამასრეები)* ჰქონდა დაკერებული. მას თირმის ან მაუდისგან კერავდნენ. თეთრი ჩოხა სიხარულის სიმბოლო იყო, შავი კი – დარდისა. წელზე ხანჯალს იკიდებდნენ.

შემოქმედებითი კვლევა: **ხალხური კოსტიუმი – ფორმა და ელემენტები.**

შეაგროვე ინფორმაცია მამაკაცის სამოსის (ზედა პერანგი, ახალუხი, ჩეპკენი, ჩოხა და შარვალი) შესახებ, ახსენი მოხატულობა-სიმბოლოების აზრი ტანსაცმელსა და მის ელემენტებზე.

ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ერის ყოფასა და კულტურას ასახავს, ისტორიის უტყვი მემატიანეებია. მიუხედავად შესრულების სხვადასხვაგვარობისა, მათ ჩვენამდე მოაქვთ მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი მოვლენები და სახეები.

მამაკაცის თავსაბურავის მრავალგვარობა. ფაფახს, თავისი ფორმისა და იმ მასალის მიხედვით, რომლისგანაც იყო დამზადებული, სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა: შიალაფაფაღი, ჩალფაფაღი, შიშფაფაღი, გიალამი ფაფაღი.



შაბგიულახი (ღამის ჩაჩი)

ხალხური სამოსი მხატვრების ნაწარმოებებში

გ.გაგარინი. „ყარაბახელი ბეგი“

ე. შახტახტინსკაია. „აღაბაჯი“

ბ. აფგანლი. ტანისამოსის ესკიზი

შემოქმედებითი საქმიანობა. შეეცადე გამოსახო ქალისა და მამაკაცის ტანისამოსის სახასიათო თავისებურებები. არ დაგავიწყდეს იმ ეპოქის ადამიანების საქმიანობის, მათი ცხოვრების წესის ჩვენება. ფორმები, ელემენტები, მოხატულობა და სამკაულები უნდა შეესატყვისებოდეს ადამიანის ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას.

- ჩამოთვალე ქალისა და მამაკაცის თავსაბურავები.
- რა გაიგე ქალისა და მამაკაცის ტანისამოსის თავისებურებების შესახებ?
- რით განსხვავდება ეროვნული სამოსი თანამედროვე ადამიანის ტანსაცმლისაგან?

10. უხაო ხალიჩები

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- უხაო ხალიჩების სახეობებისა და მათი თავისებურებების შესახებ.
- იმ ორნამენტების მოტივების შესახებ, რომლებიც ხალიჩებს ამშვენებს.

ბუნების მდიდრული ფერადოვნება, ერის ცხოვრების წესი, რომელიც მოხატულობაში აისახება, ხალიჩების დამამშვენებელ სიმბოლოებად და ორნამენტებად გადაიქცა.

ქალიშვილები ადრეული ასაკიდან სწავლობდნენ ხალიჩების ქსოვის საიდუმლოებას, საკუთარი ხელებით ალამაზებდნენ მშობლიურ კერას.

ძველებური უხაო ხალიჩები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში იქსოვებოდა, ერთმანეთისგან ელფერით, კომპოზიციური წყობით და ორნამენტის სიმდიდრით განსხვავდებოდა.

ხალიჩების ქსოვა ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომლითაც ოდითგანვე განთქმული იყო აზერბაიჯანი.

შემოქმედებითი კვლევა: **უხაო ხალიჩების სახეობები.**

ფარდაგი

თავისებურებები: სადა და უხეში.

მასალა: სელი ან მატყლი.

დეკორი-კომპოზიცია: შედგება ფერადი უბრალო, ფართო და ვიწრო ჰორიზონტალური ზოლებისგან, რომლებიც ზოგჯერ გეომეტრიული ფიგურებითაა მოხატული.

ფუნქცია (გამოყენება): აგებდნენ იატაკზე, გამოიყენებდნენ, როგორც ტანისამოსს.

ფარდაგის ფრაგმენტის სქემა

ბუნების რა სიმბოლოებია ამ მოხატულობაში? კიდევ რომელ გეომეტრიულ ფორმებს შეეძლო, გაეგრძელებინა ეს მოხატულობა?

ჯეჯიმი

თავისებურებები: არსებობს ვიწრო და გრძელი ჯეჯიმი; ახასიათებს წმინდა და გლუვი ნაქსოვი.
მასალა: მატყლი.
დეკორი-კომპოზიცია: შედგება ვერტიკალური ფერადი ზოლებისგან, მარტივი გეომეტრიული და მცენარეული მოხატულობისგან.
ფუნქცია (რისთვის გამოიყენება): აგებდნენ იატაკზე; ამ ნაქსოვით ამზადებდნენ ასევე ლეიბისპირებს, მუთაქის გადასაკრავებს, ფარდებს, გამოიყენებდნენ ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლისთვის.

ჯეჯიმის მოხატულობა

ქილიმი

თავისებურებები: გლუვი, მსუბუქი, ორმხრივი – გამოიყენებდნენ მათ როგორც გარე, ისე შიდა პირის მხარეს.
მასალა: მატყლი.
დეკორი-კომპოზიცია: აქვს მარტივი გეომეტრიული ფიგურებისგან შექმნილი მოხატულობა.
ფუნქცია (გამოყენება): აგებდნენ იატაკზე.

ქილიმი *(თურქული სიტყვა) – ხალიჩა, გადასაფარებელი*

ქილიმის მოხატულობის ფრაგმენტი და მისი სქემა



ქილიმგიულიუ

ქილიმის მოხატულობის სქემა



მოხატულობა

შადა

თავისებურებები: როდესაც ამ ნაკეთობას კედელზე კიდებენ, იგი ღებულობს სათანადო მდგომარეობას და ფოჩები გვერდებზე ექცევა. კომპოზიცია შეიძლება იყოს მარტივი და სიუჟეტური.

მასალა: მატყლი.

დეკორი-კომპოზიცია: ტრადიციულ სიუჟეტად ითვლებოდა ჰორიზონტალურ რიგში რიტმულად განმეორებადი აქლემების ქარავნების, მხედრებისა და სარვანების (აქლემების გამრეკების) გამოსახულებები.

შადას მოხატულობის სქემა



- ჩვეულებრივ, ხალიჩას დაზგაზე ვერტიკალურად ქსოვენ. როდესაც მას კედელზე კიდებენ, ფოჩები გვერდებზე ექცევა. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, როგორ იქსოვებოდა შადას ჰორიზონტალური მოხატულობა?

ზილი და ვერნი

თავისებურებები: დიდი ზომის ხალიჩა; მოხატულობის ელემენტები – განმეორებადი მოზრდილი კვადრატები. მასალა: მატყლი.

დეკორი-კომპოზიცია: ორნამენტი S-ის ფორმით განლაგებული ცხოველების, ფრინველებისა და გეომეტრიული ფიგურებისგან. ეს მოხატულობა წყლის ან დრაკონის სტილიზებულ გამოსახულებად ითვლებოდა.

ფუნქცია (გამოყენება): აგებდნენ იატაკზე.

ზილი





ვერნი



მოხატულობის ელემენტები



მოხატულობის ელემენტები



სუმახი

თავისებურებები: დიდი ზომისაა, შიდა პირზე აქვს გრძელი შალის ძაფების ფენა.
მასალა: მატყლი.

დეკორი-კომპოზიცია: ცენტრალურ ნაწილში აქვს მედალიონები (გიოლი) და გვერდებზე – არშია (ბორდიურები). სუმახების მოხატულობა შედგება მცენარეული და ცხოველური მოტივებისგან, გეომეტრიული ფიგუ-რებისგან. ფონი მუქი წითელი ან მუქი ლურჯია.
ფუნქცია (გამოყენება): აფარებენ მაგიდაზე.



მედალიონის ელემენტები



არშიის (ბორდიურის) მოხატულობის ელემენტები

უხაო ხალიჩების სახელწოდებები, სახეობები, მოხატულობები სხვადასხვანაირია, მაგრამ მათი დანიშნულება ერთი და იგივეა – მშობლიური კერისთვის სიმყუდროვისა და სილამაზის მინიჭება. ეს ხალიჩები სახლში სიხარულისა და ბედნიერების სიმბოლოებია. ამიტომ უხაო ხალიჩებს საყოფაცხოვრებო ხალიჩებსაც უწოდებენ.

სუმახი მცენარის სახელწოდებაა. მისგან ღებულობენ საღებავს, რომელიც მონარინჯისფრო-მოყავისფროა. ამ საღებავით ღებავენ ხალიჩის ძაფებს. დროთა განმავლობაში ნარინჯისფერი მოყავისფრო-მოწითალო ელფერს იძენს.

A4, A3 ფორმატის ფურცლები, ფლომასტერები, გუაში, ფერადი ფანქრები

შემოქმედებითი საქმიანობა. შეეცადე დახატო უხაო ხალიჩების რომელიმე სახეობა. გაითვალისწინე მათთვის დამახასიათებელი მოხატულობა, ფერების შეთანხმება, თავისებურებები. ამ დავალების შესრულებისას შეგიძლია გამოიყენო ფერადი ქაღალდი.

- დაასახელე სხვადასხვა სახის უხაო ხალიჩების საერთო და განმასხვავებელი თავისებურებები.
- რატომ უწოდებენ მათ „საყოფაცხოვრებო ხალიჩებს?“ დაასაბუთე შენი მოსაზრება.

11. აზერბაიჯანის ხალიჩისა და ხალხურ-გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- აზერბაიჯანის ხალიჩის მუზეუმის ექსპოზიციის შესახებ.
- ხალიჩების ქსოვის სკოლების თავისებურებების შესახებ.

აზერბაიჯანის ხალიჩის მუზეუმის იშვიათი ნაკრები ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურის საგანძურია. უძველესი ხალიჩებისა და ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გვერდით აქ ინახება თანამედროვე და სახალხო მხატვრების ყველაზე სახელგანთქმული ნაწარმოებები.

ხალიჩის მუზეუმი, კოლექციის მასშტაბისა და იშვიათი ხალიჩების ფასეულობის მიხედვით, ითვლება მსოფლიოში ყველაზე მსხვილ და უპირველეს, ხოლო ხალიჩების შეკრების, შენახვისა და შესწავლის თვალსაზრისით – ყველაზე პრესტიჟულ მუზეუმად. მისი კოლექცია მოიცავს თოთხმეტი ათასამდე ხალიჩას, ნაქარგობას, ტანსაცმელს, სპილენძის ნაკეთობას, საიუველირო ხელოვნების ნაწარმს, მინის, ხისა და ქეჩისგან შექმნილ თანამედროვე ნამუშევარს.

ხალიჩის მუზეუმის ახალი შენობა

მუზეუმის ფონდში ინახება უხაო ხალიჩები, რომლებსაც ერთმანეთისგან ფერადოვნება, ორნამენტები და დამზადების ტექნოლოგია განასხვავებს. *კუბური, ბაქოური, შირვანული, განჯური, ყაზახური, ყარაბაღული, თავრიზული* ხალიჩები, რომლებიც ხალიჩების ქსოვის კლასიკურ სკოლებს მიეკუთვნება, ყურადღებას იპყრობს თავისი კომპოზიციითა და ორნამენტით, ასევე ფერთა შეხამებით.

შემოქმედებითი კვლევა: **ხალიჩების ქსოვის სკოლები – ხაოიანი ხალიჩები.**

ხალიჩა „პირიაბედილი“

ხალიჩების ქსოვის კუბური სკოლა

თავისებურებები: ორნამენტი მცენარეული მოტივებისგან შედგება.

დეკორი-კომპოზიცია: ძირითადი ელემენტებია ხალიჩის ორივე მხარეს განლაგებული გმირობისა და სიმამაცის სიმბოლოები – „მაკრატელი“ და „რქები“, ცენტრში – ფარშევანგი, კიდეებზე კი – ხეხილის გამოსახულება და რვაქიმიანი მედა-ლიონები.

ცენტრალური ნაწილი ჩვეულებრივ მუქი ლურჯი ფერისაა, ზოგჯერ – მუქი წითელი.

„რქები“

„მაკრატელი“

ხალიჩების ქსოვის შირვანული სკოლა

თავისებურებები: რთული ორნამენტი, რომელიც ადამიანისა და ყოფითი სცენების გამოსახულებებისგან შედგება.

დეკორი-მოხატულობა: კომპოზიცია რიტმულია, აქვს თბილი კოლორიტი.

ხალიჩა „შილიანი“

ხალიჩა „მალიბეილი“

ხალიჩების ქსოვის ყარაბალული სკოლა

თავისებურებები: გამოირჩევა კომპოზიციის დახვეწილობით, უჩვეულო ფანტაზიითა და კაშკაშა კოლორიტით.

დეკორი-კომპოზიცია: საფუძველს შეადგენს ჰორიზონტალური სიმეტრია, ნადირობის სცენები. ნაჩვენებია ნადირობის ატრიბუტები, სიმბოლოები, კომპოზიციის თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება ცხოველების გამოსახულებებს.

ხალიჩების ქსოვის ბაქოური სკოლა

თავისებურებები: გამოირჩევა სირბილით, ფერების ინტენსიურობით, მხატვრული ელემენტების ორიგინალურობითა და ორნამენტის სინატიფით.

დეკორი-კომპოზიცია: უმეტესად გვხვდება გეომეტრიული ფორმის მედალიონები, მცენარეული ელემენტები ტეხილი ხაზებით.

ხალიჩა „ხილია ბუთა“

ხალიჩების ქსოვის განჯური და ყაზახური სკოლები

ხალიჩა „ჩირაღლი“ განჯური სკოლა

ხალიჩა „ჰაიმაღლი.“ ყაზახური სკოლა

თავისებურებები: ჭარბობს კონტრასტული ფერები და ექვსკუთხა მედალიონები.

დეკორი-კომპოზიცია: გამოირჩევა სხვადასხვა გეომეტრიული ფორმებითა და არშიის მდიდრული ორნამენტის განმეორებადობით.

ხალიჩების ქსოვის თავრიზული სკოლა

თავისებურებები: ფონის ფერი – მუქი წითელი, მუქი ლურჯი ან ღია ყვითელი.

დეკორი-კომპოზიცია: მცენარეული მოტივები და ყოფითი სცენები, რთული ორნამენტი, ცენტრსა და კუთხეებში მედალიონები.

ხალიჩა „შეიხი სეფი“

მუზეუმის კოლექციაში გამოფენილია ძვირფასი მეტალებისგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები, ფუფუნების საგნები და იარაღი, ქაშანურის ჭურჭელი, ქვისა და ხისგან დამზადებული საგნები, მხატვრული ნაქარგი, ეროვნული ტანისამოსი, მხატვრულად დამუშავებული მეტალი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშები.

ექსპოზიცია (ფრაგმენტები)

გუაში,
ფერადი ფანქრები.
ფლომასტერები

შემოქმედებითი საქმიანობა. დახატე ხალიჩების ქსოვის ერთ-ერთი სკოლის ექსპოზიცია. შეეცადე გამოსახო მისთვის დამახასიათებელი კომპოზიცია, ორნამენტის ფორმა და კოლორიტი.

ექსპოზიციის საერთო ხედი



www.azcarpetmuseum.az

- რა განასხვავებს ხალიჩების ქსოვის სკოლებს ერთმანეთისგან? რა შეგიძლია თქვა ამ სკოლებისთვის დამახასიათებელ კომპოზიციაზე, ორნამენტებსა და ფერებზე?
- მსოფლიოს რომელ მუზეუმებში და რომელი ევროპელი მხატვრების ნამუშევრებში პოვა ასახვა აზერბაიჯანულმა ხალიჩებმა?

დეკორი – ადამიანი, საზოგადოება, დრო

წიგნის ამ თავში გაიგებ, რა როლს ასრულებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში.

შეძლებ გაიგო, როგორ განსაზღვრავს დეკორი ადამიანების როლს საზოგადოებაში, როგორ აყალიბებს მათ შორის ურთიერთობას.

შეიტყობ, როგორ ჩაისახა და ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების დეკორატიული ხელოვნება.

თუ შეძენილ ცოდნას შემოქმედებით მუშაობაში გამოიყენებ, შენი ნამუშევრები უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდება.

12. რისთვის სჭირდებათ ადამიანებს მორთულობა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რაში სჭირდებათ ადამიანებს მორთულობა.
- რა როლს ასრულებს ტანისამოსი და მორთულობა ადამიანის ცხოვრებაში.

ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობდა, მოერთო თავი და ის ნივთები, რომლებსაც იყენებდა. მონადირე მტაცებელი ცხოველების ეშვებისგან გაკეთებულ ყელსაბამს ატარებდა. ყელსაბამში ეშვების რაოდენობა მის მიერ მოკლული ცხოველების რიცხვს შეესაბამებოდა. ასეთი ყელსაბამი თვისტომების წინაშე მონადირის სიმარჯვისა და ძალის თავისებური დემონსტრაცია იყო.

ბრძოლის წინ მეომრები სხეულს შიშისმომგვრელი ორნამენტებით იხატავდნენ, რათა, ერთი მხრივ, დაცული ყოფილიყვნენ, და იმავე დროს მტრისთვის თავზარი დაეცათ.

ტომის ბელადი ბუმბულით შემკულ მდიდრულ თავსაბურავს, კაშკაშა ფერის სამკაულებს და სვირინგებს ატარებდა. ამის მიზანი უბრალო გართობა როდი იყო. ამგვარად გამოწყობილი ბელადი ტომში თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას უსვამდა ხაზს.

შემოქმედებითი კვლევა: **ტანისამოსი და მორთულობა, რომელიც ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას შეესატყვისებოდა.**

რა იცი ტანისამოსისა და მორთულობის თავისებურებებზე, მათ განმასხვავებელ და საერთო ნიშნებზე?



უძველესი დროის მონადირეები

უძველესი რიტუალების შემსრულებელი

ტომის ბელადი და მეომარი

ძველად აღმოსავლეთსა და დასავლეთში შაჰები, სულთნები და მეფეები ოქროსა და ვერცხლის ძაფებით მოქარგული და ძვირფასი თვლებით შემკული განსაკუთრებული ტანსაცმლით იმოსებოდნენ.

შემოქმედებითი კვლევა: **ტანისამოსი და მორთულობა, რომელიც საზოგადოებაში ადამიანის როლს განსაზღვრავდა.**

მმართველის სამოსი, გვირგვინი, სახელმწიფო ძალაუფლების სიმბოლოები დიდებისა და ძლევამოსილების განსახიერება იყო.

აღმოსავლელი მმართველი. ირანის შაჰი ფათალი შაჰ ყაჯარი

დასავლელი მმართველი. ინგლისისა და შოტლანდიის მეფე იაკობ I

ჩვენს დროში, იმის მიხედვით, თუ რა აცვია ადამიანს, ან როგორია ოთახის (სათავსოს) მორთულობა (მოწყობა), იოლად განასხვავებ სამხედროს ან სპორტსმენს მასწავლებლისგან, ხოლო ექიმის კაბინეტს – სპორტული დარბაზისგან.

ამგვარად, ტანისამოსისა და დეკორის მიხედვით შეიძლება განსაზღვრო ადამიანის ადგილი საზოგადოებაში.

დეკორატიული ხელოვნების საგნები ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს.
მორთო – ნიშნავს შესძინო საგანს აზრი, განსაზღვრო მისი მფლობელის როლი.

ფლომასტერი, პასტელის ცარცები

შემოქმედებითი საქმიანობა. შეეცადე, შექმნა სიუჟეტური ნახატი თემაზე, თუ როგორ ირთვება ადამიანი. არ დაგავიწყდეს აჩვენო ადამიანის ადგილი საზოგადოებაში ტანისამოსისა და მორთულობის მიხედვით.

- რაში სჭირდება ადამიანს მორთულობა?
- რის მეშვეობით შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში?

13. ძველი ეგვიპტე – ტანისამოსი და დეკორი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორ ტანისამოსსა და თავსაბურავებს ატარებდნენ ძველი ეგვიპტელები.
- რა როლი და მნიშვნელობა აქვს კოსტიუმს საზოგადოებაში.

მოდით, ვიმოგზაუროთ უჩვეულო, გამოცანებითა და იდუმალებით აღსავსე ძველ ეგვიპტეში. ის ერთ-ერთი პირველი ცივილიზაციაა, რომელსაც ჩვენგან რამდენიმე ათასწლეული აშორებს.

წყალუხვი მდინარე ნილოსი, რომლის დაბლობზეც ცხოვრობდნენ ძველი ეგვიპტელები, ცისფერ ლოტოსს ჰგავს და უსიცოცხლო აფრიკულ უდაბნოში მიედინება. მცხუნვარე მზემ და ნოტიო კლიმატმა არა მარტო შესანიშნავი საცხოვრებელი პირობები შეუქმნა ეგვიპტელებს, არამედ გავლენა მოახდინა სამოსზეც, რომელიც, მათი გარუჯული სხეულების ფონზე, თვალშისაცემად თეთრი იყო.

ექსკურსია: **ძველი ეგვიპტე**

ლოტოსის ნამდვილი (1) და დეკორატიული (2) გამოსახულება.

რუკაზე მდინარე ნილოსი ლოტოსის ყვავილს მოგვაგონებს.

ლოტოსი ძველ ეგვიპტეში სილამაზისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ ითვლებოდა.

ეგვიპტის მმართველის, ფარაონის ტანისამოსი განსხვავდებოდა დანარჩენი ეგვიპტელების ჩაცმულობისაგან და ხაზს უსვამდა მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

ფარაონები და მათთან დაახლოებული პირები თავზე *კლაფტს* ატარებდნენ. ეს იყო ცისფერი ან ოქროსფერი ზოლებიანი თავსაბურავი, რომელიც გვერდებზე მხრებამდე იყო გადმოშვებული და ზურგზე ნაწნავივით შეკრული.

შემოქმედებითი კვლევა: **ძველი ეგვიპტის მმართველის ტანისამოსი და ძალაუფლების სიმბოლოები.**

გვირგვინი ფარაონის თავზე მისი სიდიადის ნიშანს წარმოადგენდა და საღვთო სიმბოლოებით იყო მორთული. *საყელო-ყელსაბამი*, რომელიც მზეს განასახიერებდა, ძვირფასი მეტალებითა და ქვებით იყო შემკული. ზედა ტანსაცმლის ძირითად ნაწილს წელზე *შემოსახვევი* ან *წინსაფარი* წარმოადგენდა. სამკუთხედის ფორმის წინსაფრის ზემოთ მდიდრულად მორთულ *სარტყელს* იკეთებდნენ. ფარაონი და მისი გარემოცვა პალმის ფოთლების, პაპირუსისა და სამკაულებით მორთული ტყავისგან დამზადებულ *სანდლებს* ატარებდა.

ძველი ეგვიპტის მბრძანებელი რამსეს III



კლაფტი – ზოლებიანი თავსაბურავი.
ურეი – საღვთო კობრა, სამეფო ძალაუფლების მცველი.
გრიფონი – მითოლოგიური ფრინველი სვავის თავით.

მოღუნული კვერთხი და სამკუდიანი მათრახი, ისევე, როგორც, ხელოვნური წვერი, სამეფო ღირსებისა და ძლევამოსილების სიმბოლოები იყო.

რატომ იყო ძალაუფლების ატრიბუტები ცისფერი და ოქროსფერი?



დედოფალი – ფარაონის მეუღლე ატარებდა თასმებიან ვიწრო კაბას, რომელსაც *კალაზირისი* ეწოდებოდა. მისი კაბა არა მარტო ქსოვილის ხარისხით გამოირჩეოდა, არამედ განყობითა და სამკაულებითაც. კაბაზე დედოფალი ორნამენტებით მდიდრულად მორთულ, მზის ფორმის საყელო-ყელსაბამს იკეთებდა.

რიგითი ეგვიპტელის ტანისამოსი სადა იყო. მას სელის ან უხეში ტყავისგან კერავდნენ, სამკაულებს კი თიხისგან აკეთებდნენ.

რიგითი ეგვიპტელების სამოსი

კოსტიუმი, რომელიც გულისხმობდა არა მარტო ტანისამოსს, არამედ პარიკს, ვარცხნილობას, თავსაბურავს, ფეხსაცმელს, სხვადასხვა აქსესუარებს – სარტყელს, საყელოს, სამკაულს – შესაძლებელს ხდიდა საზოგადოებაში ადამიანის ადგილისა და როლის განსაზღვრას.

ფარაონ ტუტანხამონის მიცვალებულის ნიღაბი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შედევრია. მასზე აღბეჭდილია ძალაუფლების სიმბოლოებით მორთული ოცი წლის მმართველის სახე ზოლებიან თავსაბურავში. ოქროსფერი ნიღაბი მეფეს მზესთან აიგივებდა.

ფარაონ ტუტანხამონის ნიღაბი

დედოფალი ნეფერტიტი



ფარაონ თუტმოს III-ის მეუღლის თავსაბურავი

კალაზირისში გამოწყობილი დიდგვაროვანი ეგვიპტელი ქალის ქანდაკება

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ძველ ეგვიპტეში, უპირველეს ყოვლისა, მეფეთა სადიდებლად იქმნებოდა. ამასთანავე დეკორი განასახიერებდა მეფის ძალაუფლებას, ძლიერებას და უკვდავებას, ასევე ეგვიპტელების წარმოდგენას მარადიულ ცხოვრებაზე.

ფლომასტერები
პასტელის ცარცები

შემოქმედებითი საქმიანობა. შეეცადე, დახატო ძველი ეგვიპტის მბრძანებლის ტანისამოსის დამახასიათებელი თავისებურებები. არ დაგავიწყდეს ტანისამოსში განსაკუთრებული ნიშნებისა და სიმბოლოების გამოსახვა, რომლებიც საზოგადოებაში მის მდგომარეობაზე მიუთითებდა.

- რა მიანიშნებდა სიმბოლურად ფარაონის სამოსში მის ძალაუფლებაზე?
- შეეცადე, ახსნა, რატომ იყო ფარაონის სამოსი ეგვიპტელების სამოსისაგან განსხვავებული.

14. ძველი ეგვიპტის დეკორატიული ხელოვნება – ფორმა, დეკორი და ფერი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორი იყო ძველი ეგვიპტელების დეკორის ელემენტები – დამცავი სიმბოლოები და ნიშნები.
- ძველი ეგვიპტე მცენარეული ორნამენტის სამშობლოა.

დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ძველეგვიპტელი დახელოვნებული ოსტატების – მეთუნეების, ქვის მთლელების, ჩუქურთმის ოსტატების, მეტალის ჩამომსხმელების, ფეიქრებისა და იუველირების მიერ იყო შექმნილი, განცვიფრებას იწვევდა არაჩვეულებრივი ოსტატო-ბითა და დახვეწილობით.

სასახლის კარის იუველირების მიერ ოქროსა და ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ნაკეთობები ნამდვილ ფუფუნების საგნებად ითვლებოდა.

შემოქმედებითი კვლევა: **დეკორატიული სიმბოლიკის სისტემა.**

ყველა ეს სიმბოლო გაერთიანდა ფარაონ ტუტანხამონის გულსაკიდში – პექტორალში. ამ სამკაულის ელემენტები ეგვიპტის მბრძანებლის უკვდავებასა და ძლიერებას განასახიერებდა.

ეს საინტერესოა:

მარჯვენა თვალი-ავგაროზი მზეს აღნიშნავდა, მარცხენა კი – მთვარეს.

ძველ ეგვიპტეს მცენარეული ორნამენტის სამშობლო შეიძლება ვუწოდოთ. ეგვიპტელები აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ მცენარეებს. **ლოტოსი და ლერწამი** ძველ ეგვიპტეში სახელმწიფოს სიმბოლოებად ითვლებოდა.

შემოქმედებითი კვლევა: **მცენარეული ორნამენტის მოტივები და სიმბოლური ფერები.**

ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო ეგვიპტეში იყო ლოტოსი, რომელიც ორნამენტების ძირითად მოტივს წარმოადგენდა. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი იყო კიდევ ერთი ორნამენტი – პალმეტა (პალმის ხის ფოთლების მსგავსი მორთულობა) და ტროპიკული მცენარე პაპირუსი.

ძველეგვიპტური მცენარეული ორნამენტი და ელემენტების სქემა



ძველ ეგვიპტეში ფერსაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა:

- *მოოქროსფრო-მოყვითალო ფერი მზის სიმბოლო იყო.*
- *მოვერცხლისფრო-მოთეთრო ფერი – მთვარის სიმბოლო იყო.*
- *მწვანე ფერი – სიცოცხლის, ბუნების განახლების, ნაყოფიერების სიმბოლო იყო.*
- *ლურჯი ფერი – ცისა და წყლის სიმბოლო იყო.*

კოლონის კაპიტელი (სვეტის თავი), რომელიც თავისი ფორმით პაპირუსის ყვავილს მოგვაგონებს

პალმეტას ფოთლებით შემკული კოლონები

- რა მცენარეული მოტივი ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვნად ძველ ეგვიპტეში?
- რამ გაგაოცა ძველი ეგვიპტის დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში?
- რა საერთო აქვს ძველი აზერბაიჯანის დეკორატიულ ხელოვნებას ძველეგვიპტურთან და რა ნიშნებით განსხვავდება მისგან?

გუაში,
ფლომასტერი,
ფერადი ფანქრები

შემოქმედებითი კვლევა: მოიგონე და დახატე სამკაული ძველეგვიპტური ხელოვნების სტილში. ეს შეიძლება იყოს მზის ფორმის გულსაკიდი, გულზე დასაკიდებელი რაიმე სამკაული ან სამაჯური. მოიფიქრე მისი ფორმა და დამახასიათებელი ნიშან-სიმბოლოებით მორთე. შეეცადე, გადმოსცე ძველი ეგვიპტის დეკორატიული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ფერთა შეხამება. დეკორატიული სიმბოლოების გამოყენებით შეგიძლია, მცენარეული ორნამენტი ან არშია შექმნა.

15. ძველი ჩინეთის ტრადიციული სამოსი – სიმბოლო და ფერი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორი იყო ძველ ჩინეთში ტანისამოსის ფერი და სიმბოლიკა.
- რა შეიძლება მოგვითხროს კოსტიუმმა.

იმ ნივთებს შორის, რომლებსაც ადამიანი იყენებს, იგი ყველაზე მეტად ტანისამოსთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ გავერკვეთ, როგორ ყალიბდებოდა სხვა ქვეყნებში ტანისამოსის ფორმები, დეკორი და წარმოდგენა სილამაზეზე, მოვაწყოთ მოგზაურობა.

ძველ ჩინეთში ყვითელი ფერი, ანუ ოქროსფერი, და დრაკონის გამოსახულება იმპერატორის სიმბოლოებად ითვლებოდა.

მოხელეები, რომლებიც იმპერატორს ამ უზარმაზარი ქვეყნის მართვაში ეხმარებოდნენ, ტანისამოსზე ასევე ატარებდნენ ნიშნებს, რომლებიც მათ გამოარჩევდა.

შემოქმედებითი კვლევა: **ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებები ტანისამოსზე, ფერის მნიშვნელობა.**

თეთრი ნერო, რომელიც დღეგრძელობის სიმბოლოდ ითვლებოდა, მნიშვნელოვანი თანამდებობის მოხელის ტანისამოსზე მის მაღალ ჩინზე მიანიშნებდა. ნაქარგები ვეფხვის, ლომის, ჯიქის გამოსახულებით სამხედრო მოხელეების ხალათებს მათი რანგის შესაბამისად ამშვენებდა. მოხელეების ქუდების ზედა ნაწილი ბროლის, მინის ან ბრინჯაოს პატარა ბურთულებით იყო მორთული. ბურთულების მასალა, ზომა და ფერი ასევე შეესაბამებოდა მოხელის წოდებას. მბრძანებლის თავსაბურავის ბურთულები ლალის თვლებისგან იყო დამზადებული.



კვადრატის ფორმის ნაქარგი

მოხელეების ქუდები და ტანისამოსი

იმპერატორისა და სამხედროების ტანისამოსი

ჩინეთის დეკორატიული ხელოვნების რომელ სახეობებში შეიძლება შევხვდეთ იმპერატორების ტანისამოსისთვის დამახასიათებელ ყვითელ ფერს?



შემოქმედებითი კვლევა: **ქალის კოსტიუმი – სიმბოლო და ფერი.**

იმპერატორის ოჯახის წევრები, უმაღლესი მოხელეები, წარჩინებული ქალბატონები ატარებდნენ აბრეშუმის ხალათებს ფართო სახელოებით, რომლებიც იატაკს სწვდებოდა. მოლივლივე აბრეშუმი მაღალი ფენის პრივილეგია იყო. ვაჭრებსაც კი, რომლებიც აბრეშუმით ვაჭრობდნენ, ეკრძალებოდათ მისი ტარება. ორნამენტებს, რომლებიც ოსტატურად იყო ამ ხალათებზე ამოქარგული, თავისი მნიშვნელობა ჰქონდა: მაგალითად, პეპელა სიხარულის სიმბოლო იყო, პიონი კი წარჩინებულობას, სიმდიდრესა და გაზაფხულის დადგომას გამოხატავდა.
სასახლეში მცხოვრები ქალები რთულ, დახვეწილ ვარცხნილობას ატარებდნენ, რომელსაც ოქროსა და ვერცხლის სარჭებით იმაგრებდნენ. ჩაცმულობის დამაგვირგვინებელი შტრიხი იყო აბრეშუმის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.
სამოსის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სარტყელი, რომელიც თავისი ფერით, მასალითა და შემკულობით გამოირჩეოდა.

კოსტიუმის ფერი იერარქიულ საფეხურზე იყო დამოკიდებული: იმპერატორის ტანისამოსი ყვითელი ფერის იყო, გამოცდილი მეომრებისა – თეთრი ან წითელი, ახალგაზრდა მეომრებისა – ცისფერი, მოხელეებისა – ყავისფერი.

ჩინელი გლეხები

ახლა თუ შეგიძლია წარმოიდგინო, რას „მოგვითხრობს“ ტანისამოსი ადამიანის შესახებ?

- როგორ სიმბოლოებსა და ფერს ენიჭებოდა უპირატესობა ქალისა და მამაკაცის კოსტიუმების მორთულობაში?
- რა საერთო აქვს და რით განსხვავდება ძველი ეგვიპტის მცხოვრებლების ტანისამოსი ძველი ჩინეთის მცხოვრებლების ტანისამოსისაგან?

გუაში,
ფლომასტერი,
პასტელის ცარცები

შემოქმედებითი კვლევა: დახატე კოსტიუმი, რომელსაც ძველ ჩინეთში მცხოვრები ხალხი ატარებდა. გამოსახე მასზე ორნამენტი, სიმბოლოები და გააფერადე ფერით, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, ვის ეკუთვნის ეს ტანისამოსი.

16. დასავლეთ ევროპის დეკორატიული ხელოვნება. მე-17 საუკუნე

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორი იყო ჩაცმულობის სტილი და ადამიანის როლი საზოგადოებაში.
- როგორი იყო ევროპული სასახლის ინტერიერი და საყოფაცხოვრებო საგნები.

მე-17 საუკუნის დასავლეთ ევროპის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ძველი ეგვიპტისა და ჩინეთის ხელოვნებისგან თავისი ფორმით, ორნამენტითა და სტილით.

ამ ეპოქის კოსტიუმები განსაკუთრებული ბრწყინვალეებით გამოირჩეოდა . უამრავი სამკაული მათ საზეიმო იერს სძენდა. ისინი არისტოკრატიის ცხოვრების სტილსა და გემოვნებას შეესატყვისებოდა.

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს თავისი სამოსის ბრწყინვალებისა და დიდებულების წარმოჩენა სურდა. როგორც მოდის მთავარი კანონმდებელი, იგი არისტოკრატიისთვის მისაბაძი მაგალითი იყო. მის კოსტიუმებს ალმასები და ბრილიანტები, ფერადი ქვები, ოქრო და ვერცხლი ამშვენებდა. სამოსის ბრწყინვალება სახელმწიფოს კეთილდღეობაზე მეტყველებდა, ზრდიდა მის პრესტიჟს სხვა ქვეყნების თვალში.

მეფე ლუდოვიკო XIV

ეს საინტერესოა

ფარჩისგან შეკერილი სამოსი, რომელიც ოქრომკედით იყო გაწყობილი, მხოლოდ მეფესა და მისი ოჯახის წევრებს შეეძლოთ ეტარებინათ. სასახლეში კიდევ ერთი წესი იყო: ყველა მამაკაცს, მეფის გარდა, სასახლეში შლაპა უნდა მოეხადა. შლაპის ხმარება დიდ ხელოვნებად ითვლებოდა და არისტოკრატულ აღზრდაზე მიუთითებდა.

შემოქმედებითი კვლევა: **კოსტიუმი – ფორმა, ორნამენტი, ტანისამოსის ელემენტები.**

შეეცადე, მოძებნო საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აზერბაიჯანულ ხალხურ კოსტიუმსა და დასავლეთევროპულ კოსტიუმს შორის.

ამგვარად, კოსტიუმი იყო ერთგვარი სიმბოლო, რომელიც მიუთითებდა, რომელ საზოგადოებრივ ფენას ან ჯგუფს ეკუთვნოდა ადამიანი.

დეკორს დღესაც იგივე ფუნქცია აქვს საზოგადოებაში. უძველესი დროიდან მოყოლებული, დეკორს საზოგადოების ცხოვრებაში გარკვეული წესრიგი შემოაქვს, ქმნის ადამიანურ ურთიერთობებს და გვეხმარება გავარჩიოთ, ვინ ვინ არის.

არისტოკრატი – კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანი, დიდებული.
ჟიუსტოკორი – მამაკაცის ჯიბეებიანი ზედა ტანსაცმელი, საყელოს გარეშე.
პოზუმენტი (ბაფთა) – ხისტი ყაითანი მეტალის ძაფით.

შემოქმედებითი კვლევა: **სასახლის ინტერიერი – ფორმა, ავეჯი, მორთულობა.**

სასახლის მორთული კედლები, ავეჯი, დახვეწილი ნივთები მას განსაკუთრებულ სილამაზესა და საზეიმო იერს სძენდა და მეფის კარის ბრწყინვალებას უსვამდა ხაზს. მოხატული ჭერი, ბროლის ჭაღები, პარკეტის იატაკი დახვეწილი ორნამენტებით, მოოქროვილი ქანდაკებები გარემოს უჩვეულო დეკორატიულობას და სადღესასნაულო განწყობას უქმნიდა. ამ ეპოქის სასახლის ავეჯს მდიდრული დეკორი ჰქონდა.

სასახლის ინტერიერი (ფრაგმენტი)

ა. ბოსი. მეჯლისი სასახლეში. მე-17 ს.

A3 ფურცელი, გუაში, ფლომასტერები, ცარცები

შემოქმედებითი კვლევა: მეგობრებთან ერთად შექმენი პანო „ზეიმი სასახლეში“. პირველ რიგში, დააზუსტეთ ზოგადი კომპოზიცია: კედლები, ჭერი და იატაკი. დახატული დეტალები გამოჭერით და კომპოზიციაში ჩააწებეთ. შემდეგ გამოსახეთ არისტოკრატები მოძრაობისა და ცეკვის პროცესში, პატივისცემის ნიშნად ერთმანეთს თავს რომ უკრავენ; ასევე კოსტიუმებში გამოწყობილი სხვა ადამიანების ფიგურები. საერთო პანოზე გააერთიანე და დააჯგუფე ფიგურები. არ დაგავიწყდეს პერსპექტივის კანონების გათვალისწინება.

- რა ცერემონიები ტარდებოდა სასახლეში?
- რით განსხვავდება აზერბაიჯანული ქოხის ინტერიერი ევროპული სასახლისგან?

17. ჰერალდიკა – გერბები და ემბლემები

ამ გაკვეთილზე გაიგებ:
- რა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ფერსა და გამოსახულებას გერბზე.
- როგორია აზერბაიჯანის ქალაქების გერბები.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში არსებობდა კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო იმის განსაზღვრა, საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნებოდა ადამიანი.

ეს იყო *გერბი* – რაინდების პირადი ნიშანი, რომელიც გამოსახული იყო ფარზე, მუზარადზე, დროშაზე, ცხენის ასალზე (ზურგზე გადასაფარებელზე). იგი საშუალებას აძლევდა თავიდან ფეხებამდე ჯავშანში ჩამჯდარ მეომრებს, შორიდანვე გაერჩიათ ერთმანეთი.

ემბლემა – რაიმე იდეის, ცნების სიმბოლური, პირობითი გამოსახულება, მაგალითად, ნალი იღბლის ემბლემად ითვლებოდა.

გერბი – წოდების, გვარის, ქალაქის, სახელმწიფოს ემბლემა, რომელიც გამოსახული იყო რაიმე საგანზე, ძირითადად, ფარზე.

ქალაქ ბაქოს გერბი

ფორმა *ემბლემა* *გერბი*

გერბზე თითოეულ ნიშანსა და ფერს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და იგი სიმბოლურად მიანიშნებდა იმაზე, თუ ვინაა ეს ადამიანი. გერბი საგვარეულო ღირსების ნიშანი იყო.

- რაში დასჭირდათ ადამიანებს განმასხვავებელი ნიშნები?
- რატომ გამოსახავდნენ გერბებს ფარებზე?

ჰერალდიკა – მეცნიერება, რომელიც დაკავშირებულია გერბებისა და ნიშნების შედგენასთან.

გერბების ფორმები



შემოქმედებითი კვლევა: **გერბების ჰერალდიკური და არაჰერალდიკური ფიგურები.**

ჰერალდიკური ფიგურები ფარს რამდენიმე სხვადასხვა ფერის ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ ან დიაგონალურ ზოლად ყოფს. მათში ძირითადი სიმბოლოა ფერი.

ძირითადი ჰერალდიკური ფიგურები



ჰორიზონტალური *ვერტიკალური* *დიაგონალური*

- **არაჰერალდიკური ფიგურები** შეიძლება იყოს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები – ბუნებრივი, ხელოვნური ან ფანტასტიკური.

ძირითადი არაჰერალდიკური ფიგურები

ბუნებრივი: ადამიანი, ცხოველი, მცენარე *ხელოვნური: ხომალდი, ნაგებობა, საყოფაცხოვრებო ნივთი, იარაღი* *ფანტასტიკური: დრაკონი, გრიფონი*

შემოქმედებითი კვლევა: **გერბებზე გამოყენებული გამოსახულებებისა და ფერების მნიშვნელობა.**

ნიშნები – გამოსახულებები: მუხა, დათვი ძალას განასახიერებდნენ; ჩირაღდანი, გადაშლილი წიგნი – ცოდნას; ფუტკარი – შრომისმოყვარეობას; გვირგვინი – დიდებას; ფრთოსანი გველი – ბოროტებას, ცილისწამებას; დრაკონი – ძლევამოსილებას; ხელი – სიმამაცეს.

ფერები: ყვითელი და თეთრი ფერები შეესატყვისებოდა ოქროსა და ვერცხლის ფერებს. ოქრო სიმდიდრისა და სამართლიანობის სიმბოლოდ ითვლებოდა, ვერცხლი – სისპეტაკის, უმანკოების. კიდევ ხუთი ფერი გამოიყენებოდა: მუქი წითელი (მეწამული) – სიყვარულის, სიმამაცის სიმბოლო იყო, ცისფერი – სილამაზისა და დიდებულების, მწვანე – სიუხვის, ხასხასა წითელი – ძალაუფლების, შავი – სიბრძნის.

მეწამული

ცისფერი

მწვანე

წითელი

შავი

- რა მნიშვნელობა აქვს გამოსახულებას ჰერალდიკურ, ხოლო ფერს – არაჰერალდიკურ ფიგურებზე?
- რას ნიშნავს გამონათქვამი „ჰერალდიკის ენა“? „გერბის წაკითხვა“?

სახელმწიფოებსა და ცალკეულ ქალაქებს თავიანთი გერბები აქვთ. გერბით გადმოსცემდნენ იმ ძირითად ნიშან-თვისებას, რომელიც ამ სახელმწიფოსა თუ ქალაქისთვის იყო დამახასიათებელი: ბუნებას, სიმდიდრეს, მითოლოგიურ და ხალხურ სახეებს.

შემოქმედებითი კვლევა: **აზერბაიჯანის ქალაქების გერბები – ფერებისა და გამოსახულებების მნიშვნელობები.**

„წაიკითხე“ გერბები და განმარტე მათი აზრი.

ბაქო

ნახიჩევანი

განჯა

შემახა

შექი

შუშა

ლენქორანი

რა მიზნით ქმნიან გერბებს? არსებობს თუ არა სიმბოლოები და ემბლემები თანამედროვე საზოგადოებაში? რას გამოხატავს ისინი?

http://www.heraldicum.ru, azerbaij/index.htm

ფლომასტერები, ფერადი ფანქრები

შემოქმედებითი კვლევა: გამოიყენე სიმბოლოების პირობითი ენა და გამოსახე პირადი ან საგვარეულო გერბი. მოიფიქრე ფარის ფორმა, ფერი, მნიშვნელოვანი ფიგურა-სიმბოლოები. გაითვალისწინე შენი და შენი ოჯახის ინტერესები და მოიგონე დევიზი. გამოსახულება და ფერთა შეხამება უნდა იყოს მეტყველი და მკაფიო. ეს გერბი შეიძლება იყოს კლასის, სკოლის, სპორტული კლუბის ან ნებისმიერი სასკოლო საგნის ემბლემაც. სამუშაო შეგიძლია შეასრულო კომპიუტერზე, გრაფიკულ რედაქტორში Paint.

18-19. სხვადასხვა ეპოქის მხატვრების შემოქმედება

არსებობს ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომლებიც თავიანთი დროის სიმბოლოდ ითვლება. მათი შემქმნელი კი მხატვარია. ადამიანთა სახეები, იმ დროის მოვლენები, რომელშიც მხატვარი ცხოვრობდა, *ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებასა* და *არქიტექტურაში* ცოცხლდება. ყოველი მათ-განისთვის დამახასიათებელია გამოხატვის თავისებური ენა. მაგრამ ყველა ამ ნაწარმოებს, რომლებიც სხვადასხვა სტილშია შესრულებული, ერთი რამ აერთიანებს – შემოქმედება.

მინიატურა

უფლისწული, რომელიც წიგნს კითხულობს.

გამოსახულებებს, რომლებიც შუა საკუნეების აღმოსავლურ ხელნაწერებს ამშვენებს, მინიატურა ეწოდება. ეს არის მხატვრული სტილი, რომელიც გრაფიკისა და ფერწერის სინთეზის შედეგად შეიქმნა. მინიატურებში, ისევე, როგორც ილუსტრაციებში, ხელნაწერის შინაარსი იყო ასახული.

მინიატურები გამოირჩეოდა ორნამენტული კომპოზიციების სიმდიდრით, ლირიკული პეიზაჟებით, ხაზების სინატიფითა და ფორმების რიტმით, კოლორიტული ჰარმონიით, ხატოვანი სახეების დეკორატიულობით.

მინიატურის ხელოვნებას სასახლის ხელოვნებასაც უწოდებდნენ, რადგან ხელნაწერების მინიატურებით მორთვა, ძირითადად, შაჰებისა და ფადიშაჰების სურვილით ხდებოდა.

შუა საუკუნეების კულტურულ ცენტრში – თავრიზში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მინიატურების ნიჭიერი ოსტატი სულთან მუჰამედ ნიზამედდინი (1470-1555). იგი იყო შაჰის სასახლის ბიბლიოთეკის მთავარი მხატვარი. მისი ნახატები გამოირჩეოდა კომპოზიციის დინამიკით, კოლორიტის დეკორატიულობით, ნატიფი ჰარმონიით.

მინიატურა (ლათინური სიტყვიდან minium – წითელი ფერი) – პატარა ნახატები. ისინი შუა საუკუნეებში გაჩნდა, ხელნაწერებში პირველი აბზაცისა და სათაურის პირველი მთავრული ასოთი გამოყოფის მიზნით. მანამდე პირველი აბზაცისა და სათაურის პირველ მთავრულ ასოს ძირითადად წითელი ფერით გამოყოფდნენ. მათ საღებავებით აფერადებდნენ.

ძირითადი ნიშანი, რომელიც სულთან მუჰამედის ნაწარმოებებს გამოარჩევდა, ადამიანის გამოსახულების, ცხოველთა ფიგურებისა და პეიზაჟების რეალისტურობა იყო. ითვლება, რომ, მხატვრის ერთ-ერთი პირველი ილუსტრაცია დიდი პოეტის, ა. ფირდოუსის „შაჰნამესთვის“ შექმნილი მინიატურა „მძინარე რუსტამია“. ყველაზე მეტი მინიატურა (258) მან სწორედ „შაჰნამეს“ გაფორმებისას შექმნა (742 გვერდი). ამ ხელნაწერში მხატვრის ყველაზე ცნობილი ილუსტრაციაა „გაიომარტის სამეფო კარი“.

ოსტატმა ასევე შექმნა მინიატურები ისეთი ცნობილი პოეტების ნაწარმოებებისთვის, როგორებიცაა ნიზამი განჯელის „ჰამსა“, ალიშერ ნავოის „დივანი“. ეს ხელნაწერები ამჟამად ინახება ნიუ-იორკში, „მეტროპოლიტენის“ მუზეუმში და საფრანგეთის ნაციონალურ აკადემიაში.

ჰაფეზის „დივანის“ მინიატურებში მხატვარმა უბრალო ხალხისა და სამეფო კარის დიდებულების ცხოვრება გამოსახა.

სულთან მუჰამედი, მინიატურების გარდა, პორტრეტებსაც ქმნიდა. მათ შორის ყველაზე ცნობილია „უფლისწული, რომელიც წიგნს კითხულობს“. ამჟამად ის რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება.

ექსკურსია

ექსპოზიცია 1

1. „მძინარე რუსტამი“. მინიატურა. ა. ფირდოუსი „შაჰნამე“. 2. „გაიომარტის სამეფო კარი“. მინიატურა (ფრაგმენტი). „შაჰნამე“. ა. ფირდოუსი. 3. „მუჰამედის ამაღლება“. მინიატურა. „ჰამსე“. ნ. განჯელი.

1

2



3

- რა არის მინიატურა?
- რით განსხვავდება მინიატურა ტილოზე შესრულებული ნახატისგან?

ექსპოზიცია 2

გრაფიკა და ფერწერა

ხელოვნების ნაწარმოები თავისი დროის მოვლენებს, ყოფასა და ადამიანთა კულტურას ასახავს. იმ პერიოდის სახეები და ზნეობრივი ფასეულობები, რომელშიც მხატვარი ცხოვრობდა და ქმნიდა, ჩვენამდე ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებების მეშვეობით მოვიდა. რუსი მხატვარი, თავადი გრიგორი გრიგორის ძე გაგარინი კავკასიისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში მშობლიურ მხარეს, აქ მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრების წესს გამოსახავდა. იგი ასევე ცნობილია, როგორც არქიტექტორი. მისი პროექტით თბილისში აიგო თეატრის შენობა, ხოლო 1853 წელს მხატვარმა აღადგინა ფრესკები და თავადაც მოხატა კედლები თბილისის სიონის ტაძარში. მოხატულობაში მან ასახა კავკასიის ხალხების ეთნოგრაფია, ისტორია, ყოფა და კულტურა.

მის მიერ პარიზში დაბეჭდილი პირველი ალბომები (1847) „თვალწარმტაცი კავკასია“ და „კავკასიური კოსტიუმები“ მე-19 საუკუნის კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის ისტორიის მატიანეა.

1859-1872 წლებში გ.გაგარინი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. მან შექმნა მონუმენტური ფერწერის, არქიტექტურისა და წიგნის ილუსტრაციების მრავალი ნიმუში. მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით, გრაფიკის სტილში და აკვარელის ტექნიკით შექმნილი ნახატები ინახება რუსულ მუზეუმსა და ტრეტიაკოვის გალერეაში.

ალბომ „კავკასიური კოსტიუმების“ პირველი გამოცემა (პარიზი)

სარკეებიანი დარბაზი ერევნის სარდარის სასახლეში

ბაქოელი ხანების სასახლე

ყმაწვილი



ოფიცერი

ბაქოელი

- კიდევ რომელ მხატვარ-გრაფიკოსს იცნობთ?
- რა თავისებურებები ახასიათებს გრაფიკულ და ფერწერულ ნაწარმოებებს?

ექსპოზიცია 3 პლაკატი

პლაკატი მონუმენტური გრაფიკის სახეობაა. ეს არის დიდი ფორმატის გამოსახულება, რომელსაც თან ახლავს ტექსტი და მყისიერად იპყრობს მნახველთა ყურადღებას. პლაკატი ძირითადად ინფორმაციული ან პროპაგანდისტული ხასიათისაა. პლაკატის ძირითადი თავისებურებებია მეტყველი გამოსახულება, ყველასათვის გასაგები სიმბოლოები, ტექსტი კონტურული ან სილუეტური გამოსახულებების გასწვრივ. პლაკატის ემოციური და დეკორატიული თავისებურებაა ფერების კონტრასტულობა. ზოგჯერ თავად ფერი ტექსტის სიმბოლოდ იქცევა ხოლმე.

აზერბაიჯანელი ოსტატების მიერ შექმნილია პლაკატები, რომლებიც თავისი დროის მოვლენებს ასახავს. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მატიანედ იქცა მხატვარ ელმირა შახტახტინსკაიას პლაკატები. პლაკატებში, რომლებიც აზერბაიჯანის ისტორიასა და კულტურას ასახავს, მან შეძლო, შეექმნა ჩვენი ქვეყნის სახე. პლაკატების სერია „აზერბაიჯანი – ძველი კულტურის ცენტრი“ იწყება პლაკატით, რომელიც აზერბაიჯანის კულტურის სათავეებზე – გობუსტანის კლდის მხატვრობაზე მოგვითხრობს. დანარჩენ პლაკატებზე ეროვნული გამოყენებითი ხელოვნების სიმდიდრეა ასახული.



გობუსტანი

პორტრეტი-პლაკატები სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები გამოჩენილი ადამიანების – აჯემის, ნ. თუსის, ურმავის, ბახმანიარის, ნ. განჯელის, მ. ფიზულის, ს. ვურღუნის, უზ. ჰაჯიბეილის, ს. მუჰამედისა და სხვების – გამოსახულებებით, რომლებმაც ჩვენს ისტორიაში კვალი დატოვეს, პლაკატური ხელოვნების ამოუწურავი შესაძლებლობების დემონსტრაციაა.



აჯემი ნახიჩევანი



სულთან მუჰამედი

შაჰ ისმაილ ჰათაი

- რა არის პლაკატი?
- რით განსხვავდება პლაკატი მინიატურისგან?

პლაკატი (გერმანული სიტყვიდან „plakat“, ფრანგული „placard“ – განცხადება, აფიშა). ინგლისსა და შეერთებულ შტატებში მას ეწოდება „poster“, საფრანგეთში „affish“. პირველი ილუსტრირებული პლაკატი, რომელიც 1830 წელს შეიქმნა, შავთეთრი იყო.

ექსპოზიცია 4 ქანდაკება

ქანდაკებაში, ჩვეულებრივ, მყარ მასალას (ქვას, მარმარილოს, გრანიტს, ხეს, მეტალს, ზოგჯერ კი თიხას, ტერაკოტას (გამომწვარ თიხას), მაიოლიკას (ჭიქურით დაფარულ გამომწვარ თიხას), ქაშანურს იყენებენ. ქანდაკების მთავარი თემა ადამიანია, ზოგჯერ ცხოველებისა და სხვადასხვა საგნის გამოსახულებებსაც აკეთებენ. მრგვალი ქანდაკება მოცულობითია და ადვილად თავსდება სივრცეში. მას შეიძლება გარს შემოუარო, ყველა მხრიდან დაათვალიერო და ყოველთვის სხვადასხვანაირად გამოჩნდება. რელიეფური ქანდაკება ბრტყელ ზედაპირზე იქმნება. ის შეიძლება იყოს მაღალი, დაბალი და ჩაკვეთილი.

მოქანდაკე იბრაგიმ ისმაილ ოღლუ ზეინალოვის (1934-2008) მიერ შექმნილი მონუმენტური ქანდაკებები და პორტრეტ-ბიუსტები თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწარმოებებადაა მიჩნეული. ხელოვანის მიერ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ა. ნახიჩევანის, ი. ნასიმის, შ. ი. ჰათაის, მ.ფ. ახუნდზადეს, მ. ა. საბირის, ნ. ნარიმანოვის და გ. ზ. თაგიევის ქანდაკებები სკულპტურულ მარგალიტებად ითვლება. ეს ნამუშევრები ფორმების პლასტიურობითა და ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა.

შუა საუკუნეების პოეტი-ფილოსოფოსის, ი. ნასიმის ჩაფიქრებული და მშვიდი სახე მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა: უკან გადაჭდობილი ხელები, ამაყი პოზა, ოდნავ მოტრიალებული თავის მის კეთილშობილ შინაგან სამყაროსა და ძლიერ ნებაზე მეტყველებს. ბრინჯაო, რომლისგანაც ქანდაკებაა შექმნილი, ისეთივე მყარია, როგორც პოეტის ნება.

ნასიმი

ა. ნახიჩევანი (რელიეფი)

არქიტექტორი მ. ა. ჰუსეინოვი

- გვიამბე ი. ნასიმის ქანდაკების თავისებურებების შესახებ.
- რით განსხვავდება მრგვალი და რელიეფური ქანდაკებები ერთმანეთისგან?

ექსპოზიცია 5

არქიტექტურა

არქიტექტურა შენების ხელოვნებაა. არქიტექტურული ნაწარმოებები – ეს არის შენობები, ნაგებობები (მონუმენტები, სანაპირო ნაგებობები) არქიტექტურული ანსამბლები. არქიტექტურა დროის მატიანეა, ხალხის ისტორიაა.

ბევრი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის სახელმა, რომლებიც აზერბაიჯანში X-XI საუკუნეებში ცხოვრობდნენ, ჩვენამდე ქვის ნაგებობზე და ფილებზე აღბეჭდილი დეკორატიული მოხატულობის სახით მოაღწია. ერთ-ერთი ძველი არქიტექტურული ნაგებობაა ქალწულის კოშკი ბაქოში.

კოშკის შექმნის ისტორია უკავშირდება არქიტექტორ მასუდ იბნ დაუდს, რომელიც შირვან-აფშერონის არქიტექტურული სკოლის წარმომადგენელი იყო. კოშკის ქვის ფილაზე ამოტვიფრულია მისი სახელი *„გუბე მასუდა იბნ დაუდა“*.

არქიტექტურის მარგალიტი – ქალწულის კოშკი – კლდეზეა აგებული. ეს ძველი რვასართულიანი ნაგებობა ორი ნაწილისგან შედგება: ძირითადისაგან, რომელიც მრგვალი ფორმისაა, და წაგრძელებულისაგან, რომელიც ზღვის მხარესაა მიმართული. ზოლები, რომლებიც კოშკს გარს ეხვევა, თითქოს დროის ფენებია, რომლებიც მასზე თავის კვალს ტოვებს.

ქალწულის კოშკის ხედი არქიტექტორ-მკვლევრის დ. ა. ახუნდოვის ნახატზე (ფრაგმენტი)



კედელზე ამოტვიფრული წარწერა (ფრაგმენტი)

- დაასახელეთ კოშკის დეკორის ძირითადი ელემენტები.
- როგორ ნაგებობებს უწოდებენ აზერბაიჯანში „გალას“ (კოშკს)?

შეაგროვე და წარმოადგინე დამატებითი ინფორმაცია მხატვრების შემოქმედების შესახებ.

http://www.azerbaijans.com/content_179_az.html

თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ხალხური ხელოვნებისგან თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.
ამ თავში შენ გაეცნობი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს – კერამიკას, მინას, მეტალს, გობელენს, ბატიკას და მრავალ სხვას.

გაიგებ, რა არის თანამედროვე ხელოვნების თავისებურებები, რა ახალი ნიშნებით გამოირჩევა იგი.
საკუთარ ნამუშევრებში თანამედროვე მასალების გამოყენებით შენც შეძლებ ნამდვილი ოსტატობის გამოვლენას.

20. თანამედროვე საგამოფენო ხელოვნება

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- როგორია თანამედროვე საგამოფენო ხელოვნება და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები.
- აზერბაიჯანის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციის შესახებ.

სახელმძღვანელოს ამ თავში გაეცნობი თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებს.

შემოქმედებითი კვლევა: **თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები.**

ხელოვნების ამ ნაწარმოებებს მიეკუთვნება კერამიკა, მინა, მეტალი, ქვასა და ხეზე მხატვრული კვეთა, ვიტრაჟი, გობელენი, ბატიკა. ჩვენს დროში შექმნილი ეს ნაწარმოებები შეგიძლია იხილო გამოფენა-სალონებსა და სამხატვრო გალერეებში.

კერამიკა

მინა

მეტალი



ვიტრაჟი

გობელენი



ბატიკა

ხეზე მხატვრული კვეთა

მოდით, ახლოდან გავეცნოთ თანამედროვე საგამოფენო ხელოვნებას. შეეცადე, დარბაზის კარის შეღებისას ამ სილამაზის სამყაროში შეხვიდე არა როგორც შემთხვევითი სტუმარი, არამედ როგორც ყურადღებიანი დამთვალიერებლი.

ხალხური შემოქმედების ოსტატისგან განსხვავებით, რომელიც ტრადიციის დაცვით მუშაობს და თავის შემოქმედებაში თაობიდან თაობაზე გადმოცემულ წესებსა და ჩვევებს იცავს, თანამედროვე მხატვარი, რომელიც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს ქმნის, არაფრითაა შებოჭილი თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ახალი ნაწარმოების შექმნისას, იგი თამამად ატარებს ექსპერიმენტს მასალასთან, ფორმასთან და ფერთან მიმართებაში.

მხატვრის უნიკალური შემოქმედებითი ექსპერიმენტები **საგამოფენო საქმიანობასთანაა** დაკავშირებული. ეს საქმიანობა – ახალი იდეებისა და მხატვრული სახეების მოძიება – მდიდარია სილამაზეზე მხატვრის წარმოდგენის, გარემომცველ სამყაროსთან მისი დამოკიდებულების და მისი ფიქრებისა და გრძნობების გამოხატვით.

საგამოფენო საქმიანობა – ეს არის საავტორო პროდუქცია, რომელიც მხატვრის თავდაუზოგავი, მძიმე შრომითაა შექმნილი. მასობრივი წარმოების ნაკეთობებისგან განსხვავებით, საავტორო ნამუშევარი განუმეორებელია. იგი თავის თავში ატარებს არა მარტო ავტორის შემოქმედებით ინდივიდუალობას, არამედ თითქოს მისი პიროვნების გაგრძელებას წარმოადგენს.

„Baku Creative Center“ გალერეის ექსპოზიცია

თანამედროვე პროფესიონალი მხატვარი ძალიან ხშირად მიმართავს წარსულს – ტრადიციულ სახეებსა და ხალხური ხელოვნების სიუჟეტებს. მაგრამ ეს ძველი სახეები მის შემოქმედებაში სრულიად სხვაგვარად ჟღერს. მხატვარი მათ განსხვავებულ, მისეულ ხედვას სძენს, შეაქვს მათში თანამედროვეობის სული, საკუთარი ინდივიდუალობა.

ასეთი ნამუშევრების ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დამთვალიერებელზე, უბიძგებს მას ფიქრისა და შემოქმედებითი საქმიანობისაკენ.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

მუზეუმის ექსპოზიციაში თავმოყრილია აზერბაიჯანის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები – ნახატები და ქანდაკებები, დაწყებული მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან, დღემდე.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ბაქო

მუზეუმის ექსპოზიცია. ეს ექსპოზიცია ცნობილია ნახატებითა და ქანდაკებებით, რომლებიც ხოტბას ასხამს ადამიანის სულის თავისუფლებას, ძიებას, დაკვირვებას.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნამდვილი შედევრების სამყაროა, რომელშიც წარმოდგენილია აზერბაიჯანელი მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ უკანასკნელი 70 წლის მანძილზე შექმნილი 1000-ზე მეტი ნაწარმოები. ექსპოზიციის ნაწილი ეროვნული მხატვრული შემოქმედების სრულიად სხვა მიმართულებას ეძღვნება. ეს არის აშრაფ მურადის, ქამალ აჰმედის, მირჯავად ჯავადის, რასიმა ბაბაევას უნიკალური ნაწარმოებები.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სალონი

მუზეუმის ინტერიერი და ექსპოზიცია. ინტერიერის თეთრი ფერი, თავისუფალი არქიტექტურა, ხისა და ლითონის კონსტრუქციების კარგად მოფიქრებული ერთგვარი „მოძრაობა“, მხატვრული ნაწარმოებებისა და ქანდაკებების ექსპოზიციები თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სახეს ქმნის.

მუზეუმში წარმოდგენილია აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების ისეთი კლასიკოსების ნაწარმოებებისა და ქანდაკებების კოლექციები, როგორებიც არიან სათარ ბახლულზადე, თაირ სალახოვი, მიკაილ აბდულაევი, თაგი თაგიევი, ნადირ აბდურახმანოვი, ელმირა შახტახტინსკაია, ოქტაი სადიხზადე, თოკაი მამედოვი, თოღრულ ნარიმანბეკოვი, ომარ ელდაროვი. აქვე წარმოდგენილია სხვა ქვეყნების თანამედროვე შემოქმედთა ნამუშევრები.

ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, აკვარელი, გუაში

შემოქმედებითი კვლევა: გამოსახე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიცია. თავდაპირველად შეეცადე, დახატო მისი ინტერიერი, შემდეგ – მასში გამოფენილი ნამუშევრები. ექსპოზიციაში შეგიძლია შენ მიერ შექმნილი ნებისმიერი თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები „გამოფინო“.

www.mim.az

- რა განსხვავებაა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში მომუშავე თანამედროვე პროფესიონალ მხატვარსა და ხალხურ ოსტატს შორის?
- რით განსხვავდება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საგამოფენო ნაწარმოებები მასობრივი წარმოების ნაკეთობებისგან?

საგამოფენო ხელოვნება – ერთეული, საავტორო მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც მაქსიმალურად ნათლადაა წარმოჩენილი პროფესიონალი მხატვრის შემოქმედებითი ინდივიდუალობა; გათვალისწინებულია საჯარო გამოფენისათვის.

სამხატვრო გალერეა – ადგილი, სადაც ხელოვნების ნაწარმოებების დემონსტრაცია ხდება. ჩვეულებრივ, სამხატვრო გალერეებს „სამხატვრო მუზეუმებსაც“ უწოდებენ.

გამოფენა – ხელოვნების სფეროსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში მოღვაწე შემოქმედთა ნაწარმოებების საჯარო დემონსტრაციაა.

თანამედროვე ხელოვნება – მხატვრული ხერხების ერთობლიობა, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.

21. კერამიკა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რა არის კერამიკის თავისებურებები: ფორმა, დეკორი და ფერი.

თუ ხალხური შემოქმედების ნაწარმი თიხის ჭურჭელი ყოველდღიურ ყოფაში გამოიყენებოდა, თანამედროვე დეკორატიულ ხელოვნებაში მან დიდწილად დაკარგა თავისი ყოფითი დანიშნულება და ხელოვნების ნიმუშად გადაიქცა. დღეს მხატვარ-კერამიკოსები კერამიკას იყენებენ ოთახების გასაფორმებლად, ეძიებენ ამ მასალის ახალ პლასტიკურ შესაძლებლობებს, მისი ფერისა და ფაქტურის სიმდიდრეს.

მაიოლიკა ფერადი გამომწვარი თიხისგან დამზადებული ნაკეთობაა, ფაიფური და ქაშანური კი უფრო ნაზი, თეთრი თიხისგან იქმნება.

კერამიკა

მაიოლიკა

ფაიფური

ქაშანური

შემოქმედებითი კვლევა: **თიხის თვისებები.**

მაიოლიკა. კერამიკული ნაკეთობები მრავალგვარია. ისინი განსხვავდებიან ფორმით, დეკორითა და ზედაპირის ხასიათით.

მაიოლიკა არის სამეთუნეო ნაკეთობა, დამზადებული გამომწვარი თიხისგან, რომელიც დაფარულია ჭიქურითა და ნახატით.



მაიოლიკის ტექნიკით მზადდება დეკორატიული პანოები, საპირეები, ჭურჭელი და მონუმენტური სკულპტურული გამოსახულებებიც კი.

მაიოლიკას ასე აფერადებენ: ნაკეთობას ჭიქურით ფარავენ, შემდეგ მასზე დაიტანენ ნახატს და ქურაში გამოწვავენ.

ტერაკოტა. მხატვარ-კერამიკოსს ბუნებრივი ფერის გამომწვარი თიხაც იზიდავს, რომელსაც ტერაკოტა ეწოდება. სიტყვა ტერაკოტა „გამომწვარ მიწას“ ნიშნავს. მხატვრისთვის ზოგჯერ რთულია, ერთ ნაკეთობაში ჩანაფიქრის მთელი სირთულე გახსნას და ამიტომ იგი ნაკეთობებს ერთიან კომპოზიციაში – ანსამბლში – აერთიანებს. ნივთის მხატვრული სახის შექმნისას მხატვარი ფაქტურას იყენებს.

გაიხსენე: რა არის ანსამბლი?

ზოგჯერ მხატვარ-კერამიკოსები თავიანთ ნაწარმოებებს მრუდე ან მოღვენთილ ფორმას აძლევენ, ბზარებითა და ზოლებით. ეს ფორმას უფრო გამომსახველობითს ხდის: ოღონდ აუცილებელია მივხვდეთ, რისი თქმა უნდოდა ამით მხატვარს.

თანამედროვე ხელოვნებაში კერამიკის მრავალფეროვნება ყოველ ჯერზე აღაფრთოვანებს დამთვალიერებელს ახალი, მოულოდნელი იერით.

თეთრი ან წითელი თიხა, პლასტილინი, გუაში

შემოქმედებითი კვლევა: შექმენი ნაკეთობა მაიოლიკის ან ტერაკოტისაგან. თუ შეეცდები, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ძველი სახეები უჩვეულო ფორმით წარმოაჩინო, ისინი შეიძლება ძალიან ორიგინალური გამოვიდეს. ამ საგნებისგან მთელი კომპოზიციის, ანსამბლის შექმნაა შესაძლებელი. არ დაგავიწყდეს ნაკეთობის სახეობის განსაზღვრა. თუ „ნაწარმოებს“ გუაშით გააფერადებ, მაიოლიკის ნამდვილ ოსტატად წარმოაჩენ თავს.

- თიხის რა საიდუმლოებებს ფლობენ მხატვარ-კერამიკოსები?
- რით განსხვავდება ძველი ქაშანურის ნაკეთობები თანამედროვე კერამიკისგან?

კერამიკა – თიხისგან დამზადებული სამეთუნეო ნაკეთობა.
მაიოლიკა – ჭიქურით დაფარული გამომწვარი ფერადი თიხისგან დამზადებული ნაკეთობა.
ტერაკოტა – წითელი ან ყვითელი გამომწვარი თიხისგან დამზადებული ნაკეთობა.
ფაიფური – ნახევრად გამჭვირვალე კერამიკა (გამომწვარ ფაიფურს ქათქათა თეთრი ფერი აქვს).
ქაშანური – უბრალო თიხისგან დამზადებული ნაკეთობა (ემალითა და ჭიქურით დაფარვის გარეშე).

22. მხატვრული მინა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- მინის ნაკეთობის, როგორც დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოების, მნიშვნელობას.
- მინის თვისებებსა და დამზადების ტექნოლოგიას.

თანამედროვე მინას, ფერწერულ და სკულპტურულ ნამუშევრებს შეუძლიათ გამოხატონ ახალი ფორმების მაძიებელ მხატვრთა ინდივიდუალობა.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში გამოფენილია მხატვრების მიერ დამზადებული მინის ნაკეთობების ნიმუშები.

შემოქმედებითი კვლევა: **მინის თვისებები – ფერი, ფორმა და დეკორი.**

ფერი. მინის ნაკეთობის ზედაპირზე მოხვედრისას მზის სხივები თითქოს აცოცხლებს მას, ანათებს მის იდუმალ სიღრმეს და ნამდვილ ძვირფასეულობად აქცევს. მხატვარ-მინამბერის სამუშაო ძალიან რთულია. გარდა ოსტატობისა და უნარებისა ამ ხელობაში, იგი აუცილებლად უნდა გრძნობდეს მასალის სიმყიფესა და სიმტკიცეს, გამჭვირვალობას და ფერით გაჯერებულობას.

ფორმა და დეკორი. მინის სახარშ გახურებულ ღუმლებთან იქმნება ცალკეული მხატვრული ფორმები და მთელი დეკორატიული კომპოზიციები. ჩვეულებრივ, მხატვარი თავად ბერავს მინას – იგი ატრიალებს გამლღვალ წვეთს და მას სხვადასხვა ფორმას ანიჭებს. ზოგჯერ ამის კეთებაში მას ოსტატი-მინამბერი ეხმარება.

მინას, რომელიც ხელით, თავისუფალი ბერვის მეთოდითაა დამზადებული, სხვანაირად *გუტის მინას* უწოდებენ. ცხელ მდგომარეობაში შეიძლება მისი გაწელვა, დაგრეხა, ძერწვა, ჭრა, მასზე გამოძერწილი დეტალების დაწებება.

გუტის მინა (*„გუტ“ – გერმანული სიტყვაა* და „მინის სახელოსნოს“ ნიშნავს). მინის ნაკეთობები, რომელიც თავისუფალი ბერვის მეთოდითაა დამზადებული.

მინის სახელოსნოს ინსტრუმენტებია: მილი ჩაბერვისთვის, მინის საჭრელი მეტალის მაკრატელი, მარწუხები, პინცეტი, ხის კოვზი, ინსტრუმენტები, რომლებიც მინისთვის ფორმისა და დეკორატიულობის მისანიჭებლად გამოიყენება.

ფერი, ფორმა და დეკორი



გუტის მინის ნაკეთობები

აკვარელი, ფლომასტერი, პასტელის ცარცები

შემოქმედებითი კვლევა: დახატე სხვადასხვა ფორმის მინის ნაკეთობები. ეს შეიძლება იყოს ჭურჭელი ან, უბრალოდ, ფიგურა. შეგიძლია, მათგან საერთო კომპოზიცია – ანსამბლი შექმნა. შეეცადე, ფერის მეშვეობით აჩვენო, რომ ნაკეთობა მხატვრული მინისგანაა დამზადებული. არ დაგავიწყდეს დეკორი.

- როგორ ამზადებს მხატვარი მინის ნაკეთობებს?
- რა საერთოა კერამიკული და მინის ნაკეთობების ფერს, ფორმასა და დეკორს შორის?

ეს საინტერესოა

ჩეხეთსა და სლოვაკეთში მინა ეროვნული ტრადიციების სიმბოლოდ ითვლება.

23. მხატვრული მეტალი – ჭედვა და ჩამოსხმა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- მხატვრული მეტალის, როგორც დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოების, მნიშვნელობას.
- მეტალის დამუშავების მეთოდებს – მხატვრულ ჭედვასა და ჩამოსხმას.

წარმოსახვა ხელოვანს შთააგონებს განსხვავებული მხატვრული სახეების შექმნას და უბიძგებს ახალი ტექნოლოგიების გამოგონებისაკენ. თანამედროვე მხატვრები ისეთი „მძიმე“ მასალისგანაც ქმნიან ნამუშევრებს, როგორიცაა **მეტალი**. ისინი მისი დამუშავების სხვადასხვა ხერხსა და ტექნიკას – ჭედვას, ჩამოსხმას, ჭედურობას, შედუღებას – იყენებენ.

გამოფენის ექსპოზიციის ფრაგმენტი და მხატვრული მეტალის ნაკეთობები.

შემოქმედებითი კვლევა: **მხატვრული მეტალი – ფორმა და სილუეტი.**
მეტალზე მუშაობა მხატვრისგან „ძლიერ“ ხელსა და „რკინის“ ნებისყოფას მოითხოვს. თუ მხატვარი ჭედვითაა დაკავებული, ხშირად მას თავად უწევს სამუშაოს შესრულება – საკუთარი ხელით ქმნის გავარვარებული მეტალისგან მხატვრულ სახეებს, რომლებიც მის წარმოსახვაში ცოცხლდება.

გავარვარებული რკინის ნამზადის ნაჭერი დაუყოვნებლივ გადააქვთ ღუმლიდან გრდემლზე და თანმიმდევრული დარტყმებით ოსტატი რკინის ნაჭერს თანდათან აძლევს ჩაფიქრებული ნაკეთობის ფორმას. ეს ყველაფერი მეტალის გაცივებამდე უნდა მოესწროს. გაიხსენე ცნობილი რუსული ანდაზა: „გამოჭედე რკინა, სანამ ის ცხელია“ და მიხვდები, რამდენად რთულია ეს სამუშაო

მხატვარი შესანიშნავად გრძნობს მასალას და თამამად იყენებს მის პლასტიკურ შესაძლებლობებს. მეტყველი სილუეტებისგან შექმნილი კომპოზიცია ისე გამოიყურება, თითქოს ეს მეტალით შესრულებული გრაფიკა იყოს.

მხატვრული ჭედვის მეთოდით შექმნილი ნამუშევრები

მეტალის დამუშავების განსხვავებული ტექნიკაა **ჩამოსხმა**. გამდნარი მასა სპეციალურ ყალიბში ისხმება, სადაც ის ნელ-ნელა ცივდება და სათანადო ნაკეთობის ფორმას იღებს.

მხატვრული ჩამოსხმის მეთოდით შექმნილი ნამუშევრები

ზაქირ ახმედოვი. „მუღამი“



დაში ნიმდაკოვი. „პრინცესა“ მეტალისა და ძვლისგან (მამონტის ეშვი) შექმნილი კომპოზიცია

მეტალზე მუშაობა მხატვარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, შექმნას უჩვეულო და ორიგინალური ნაკეთობები.

პლასტილინი თიხა

შემოქმედებითი კვლევა: პლასტილინის ან თიხის პლასტიკურობის გამოყენებით, შეეცადე შექმნა უჩვეულო დეკორატიული ფორმის მეტალის ნაკეთობა. წინასწარ განსაზღვრე მეტალის დამუშავების მეთოდი – მხატვრული ჭედვა ან მხატვრული ჩამოსხმა. როგორ შეძლებ ამის ჩვენებას?

- დაასახელე მხატვრული ჭედვისა და ჩამოსხმის ძირითადი თვისებები.
- რაში გამოიხატება ასეთ ნაკეთობათა შორის მსგავსება და განსხვავება?

24. გობელენი

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რა როლი ენიჭება გობელენს ინტერიერში.
- როგორია გობელენის დამზადების ტექნიკა და თვისებები.

საგამოფენო სალონებში შეგიძლია იხილო დეკორატიული ხელოვნების სხვა ნაწარმოებებიც. გობელენი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახეობაა. ეს არის ხელით ნაქსოვი, სიუჟეტითა და ორნამენტული კომპოზიციით გაჯერებული, კედლის უხაო ხალიჩა. რადგან ეს მხატვრული ნამუშევარი კედელს ამშვენებს, მას ასეც უწოდებენ – ხალიჩა-სურათი.

შუა საუკუნეების გობელენი

გობელენების გამოფენა და თანამედროვე გობელენი

შემოქმედებითი კვლევა: **ხალიჩა-სურათი.**

ისტორია. შუა საუკუნეებში გობელენი არისტოკრატულობის სიმბოლო იყო. ხელოვნების ამ ნაწარმოებებით ამშვენებდნენ წარჩინებული ადამიანების სახლებს. გობელენები სასახლეებს მომაჯადოებელ სილამაზეს სძენდა.

შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში გობელენის ხელოვნება ფართოდ იყო გავრცელებული. გობელენები ქილიმებისგან განსხვავდება სიუჟეტური კომპოზიციების შინაარსითა და მნიშვნელობით, რომლებიც ადამიანის განცდებსა და შეგრძნებებს გამოხატავს.

გობელენი ლუდოვიკო XIV-ის გამოსახულებით

გობელენი, რომელიც შუა საუკუნეების კოშკს ამშვენებს

ტექნოლოგია და მასალა. გობელენის ქსოვა ოსტატისგან დიდ მოთმინებას, გამოცდილებას და მხატვრულ უნარებს მოითხოვს. გობელენი საფეიქრო დაზგაზე იქმნება, რომელზეც საფუძვლის ძაფებია გადაჭიმული. მხატვარი დაზგაზე ათავსებს ესკიზს. გობელენი შალისა და სელის გადაჯვარედინებული თვლებით იქმნება.

დღეს მხატვრები, რომლებიც გობელენზე მუშაობენ, მასალად სინთეტიკურ ბოჭკოს, ზონრებს, თოკებს, მეტალის ძაფებს, მავთულს, ტყავის ნაჭრებს, ხესა და ცხენის ძუას იყენებენ.



გამოსახულება და ფერი. ფერადი ძაფები გობელენის მხატვრისთვის იგივეა, რაც თიხა მხატვარ-კერამიკოსისთვის, მინა – მინამბერისთვის და რკინა – მჭედლისთვის. გობელენზე მუშაობისას ავტორი იმავდროულად დახელოვნებული ფეიქარიც ხდება. როგორც ფერმწერი, იგი თითქოს „ხატავს“ ფერადი ძაფებით, როგორც მოქანდაკე – სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძაფით „ძერწავს“ მოცულობას. ხოლო როცა საუბარია გობელენით ინტერიერის გაფორმებაზე, იგი აზროვნებს, როგორც არქიტექტორი.

პოეტური ხედვა ეხმარება ავტორს გობელენის შექმნისას, ფერადი ძაფებისგან იგი ფერთა სიუხვეს ქმნის. მაგრამ მარტო ფერი როდი ეხმარება მხატვარს ბუნების მთელი მრავალფეროვნების გადმოცემაში. ოსტატის ხელები ხაზების, ფორმის, რიტმის, ფაქტურის გამოყენებით ნამდვილ საოცრებას ქმნის. გობელენის მხატვრისთვის ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: ძაფების სისქეს, მათ ხარისხს, ფერების შეთანხმებას, მასალის შესაბამისობას.

ისევე როგორც კერამიკა, მინა და მეტალი, გობელენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ინტერიერის გაფორმებაში. იგი არა მარტო ამშვენებს კედლებს, არამედ ასევე ქმნის ინტერიერის სახეს, განაპირობებს მის განწყობას.

A3 ფორმატის ფურცელი, პასტელის ცარცები, ფლომასტერები, გუაში

შემოქმედებითი საქმიანობა: შეეცადე, დახატო გობელენი. მისი შინაარსი შეიძლება იყოს სიუჟეტური ან ორნამენტული. იმისათვის, რომ მოცულობითი ფაქტურა გამოსახო, წინასწარ იზრუნე იმაზე, რომ ქაღალდის ფურცელი ხორკლიანი იყოს. შეგიძლია, ქაღალდის ქვეშ რელიეფური მუყაო ან მუშამბა დადო. არ დაგავიწყდეს, გობელენზე კარგად გამოკვეთო ხაზები, ფორმა, რიტმი და ფერთა შეხამება. შემდეგ შეგიძლია შექმნა ჩარჩო, რათა გობელენი კედელზე დაკიდო.

- რით განსხვავდება გობელენი ხალიჩისგან?
- რა არის საჭირო გობელენის დასამზადებლად?

ეს საინტერესოა თანამედროვე გობელენის ხელოვნების ცენტრად ხალიჩების ქსოვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე საფრანგეთი ითვლება.

25. ნაზი ბატიკა

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- ბატიკის სახეობებსა და თვისებებს.
- ნაწარმოებში იდეის, აზრისა და ფერის მნიშვნელობას.

ბატიკა – ეს არის ქსოვილზე ხელით მოხატვის ხელოვნება. იგი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველაზე ნატიფ სახეობად ითვლება.

ბატიკა, რომელიც აბრეშუმის დამუშავების ტექნოლოგიასთანაა დაკავშირებული, აზერბაიჯანული დეკორატიული ხელოვნების ახალგაზრდა და თანამედროვე სახეობად ითვლება. „ბატიკი“ ინდონეზიური სიტყვაა, და „ცვილის წვეთს“ ნიშნავს. ეს ტექნიკა აბრეშუმის, ბამბის ან სელის ქსოვილზე სახატავად გამოიყენება.

შემოქმედებითი კვლევა: **ცხელი და ცივი ბატიკა.**
მხატვარს ბატიკის შექმნა სხვადასხვა ტექნიკით შეუძლია. ერთ-ერთი მათგანია **ცხელი ბატიკა**, რომელიც უფრო ლამაზი და ფერადოვანია. ქსოვილის ზედაპირზე ჯერ ნახატის ესკიზის კონტურები გადააქვთ, შემდეგ კი – გამლღვალი ცვილი, რითაც ქსოვილი იჟღინთება.

როდესაც ქსოვილი გაშრება, მას ჯერ ღია ტონებით ღებავენ, შემდეგ კი საღებავის მომდევნო ფენებს ადებენ და ამუქებენ ტონს, სანამ ესკიზის შესაბამის ნახატს არ მიიღებენ.

ცხელი ბატიკა

არსებობს მოხატვის ნაკლებად შრომატევადი პროცესი – **ცივი ბატიკა**. ამ შემთხვევაში აუცილებელია ქსოვილზე ჯერ ნახატის კონტურის შემოხაზვა რეზერვის (სპეციალური ნაზავის) მეშვეობით, რომელიც მინის მილაკებშია მოთავსებული. იმისათვის, რომ საღებავი ქსოვილზე არ გაიდღაბნოს, ნახატის კონტურები ჩაკეტილი უნდა იყოს. არ შეიძლება ცივი ბატიკის მეთოდით შექმნილი ნაწარმოების ნესტიან ადგილას შენახვა.

ქსოვილის მოხატვისას მხატვარი სპეციალურ საღებავებს იყენებს, რომლებიც, აკვარელის მსგავსად, რბილად გადაედინება ერთიმეორეში და გასაოცარ ფერადოვან მოხატულობას ქმნის. თუ ყურადღებით დააკვირდები ნამუშევრებს, რომლებიც ცივი ბატიკის ტექნიკითაა შესრულებული, იგრძნობ, რომ ყოველი მათგანი ამაღელვებელი თხრობაა სილამაზეზე. მათი თემები მხატვარს ბუნებამ შთააგონა.

ბატიკის იდუმალება შეგიძლია ელფერთა მრავალფეროვნებაში, დეკორატიული ფერადი ლაქებისა და ხაზების რიტმში აღმოაჩინო. ყველა ეს მხატვრული საშუალება ნაწარმოების შინაარსს გადმოგვცემს.

ცივი ბატიკა

აბრეშუმის ამ ნაზ ნაკეთობაში იგრძნობა მხატვარ-ფერმწერის, დეკორატიულ-გამოყენებითი დარგის მხატვრის, მხატვარ-ფეიქრის შემოქმედებითი ფანტაზია.

აზერბაიჯანელმა მხატვრებმაც შექმნეს სხვადასხვა ღირებული ნაწარმოებები ბატიკის სტილში.

ბატიკის სტილში მომუშავე აზერბაიჯანელი მხატვრების ნაწარმოებები. ბაქოს სამუზეუმო ცენტრი.

აკვარელი ფლომასტერები

შემოქმედებითი საქმიანობა: ქაღალდზე ან ქსოვილზე შექმენი ფანტასტიკური კომპოზიცია ნებისმიერ თემაზე. აკვარელის საღებავების და ფლომასტერების გამოყენებით, შეეცადე, შექმნა თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები ბატიკის ტექნიკით. ჯერ უბრალო ფანქრით დახატე, შემდეგ გააფერადე საღებავებით. ნახატი რომ გაშრება, მოხაზე მისი კონტურები ფლომასტერით. შეეცადე, წარმოაჩინო ფერადი ლაქებისა და ხაზების რიტმი.

- რით განსხვავდება ბატიკი აკვარელისგან?
- როგორ გესმის გამოთქმა: *„ბატიკა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველაზე ნატიფი სახეობაა“?*

26. შენ მხატვარი ხარ

ამ გაკვეთილზე გაიგებ:

- რა შეიტყვე სახელმძღვანელოდან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ.
- როგორ მოაწყო შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება. ამ ხნის მანძილზე შენ, მეგობრებთან ერთად, ქმნიდი საინტერესო დეკორატიულ ნამუშევრებს, ნახატებს, პანოებს. ამაში სახელმძღვანელო დაგეხმარა.

თუ შენ შეიძინე ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წარმოშობის, მისი განვითარების, საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ, გაიგე თანამედროვე ხელოვნების საიდუმლოებები, და დაეუფლე შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარებს ამ დარგებში, შეგიძლია თავი ნამდვილ მხატვრად ჩათვალო.

იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც ამ სახელმძღვანელომ მოგცა, შენ გახდი იმ ცვლილებების მოწმე, რომლებიც, დეკორატიული ხელოვნების ზეგავლენით, საზოგადოებისა და პირადად შენს ცხოვრებაში მოხდა. შენი ნახატებითა და დეკორატიული ნაკეთობებით შეგიძლია შექმნა სასიამოვნო ატმოსფერო სკოლასა და სახლში, საჩუქარი მიუძღვნა მეგობრებს, რომლებიც აფასებენ სილამაზეს. ეს ყველასთვის საინტერესო იქნება...

კარგი იქნებოდა, საგულდაგულოდ შეგეგროვებინათ ეს ნახატები და ნამუშევრები, რომელიც შენ და შენმა მეგობრებმა წლის განმავლობაში შექმენით, მოგეწყოთ გამოფენა სკოლის ინტერიერში და სხვებისთვისაც გეჩვენებინათ.



სკოლის შენობის ფოიეში მოწყობილი გამოფენა

ექსპოზიცია

ჯერ უნდა შეარჩიოთ ადგილი გამოფენისთვის (საკლასო ოთახი, დერეფანი ან დარბაზი), სადაც განთავსდება ნამუშევრები, მოიფიქროთ, როგორი იქნება მათი ზომა და თემა. მაგალითად, სახელმძღვანელოს თავების მიხედვით შეგიძლიათ შექმნათ დეკორატიული პანო, რომელიც სკოლის კედლებს დაამშვენებს. მოეთათბირეთ ამ საკითხზე მეგობრებს – ყოველ ჯგუფს შეუძლია, სურვილისამებრ, შექმნას პანო ნებისმიერი თავის მიხედვით.

ჩანაფიქრის დაბადება და ესკიზებში მისი ხორცშესხმა შემოქმედებით პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მომენტია. მასზეა დამოკიდებული შემდგომი მუშაობის წარმატება. აქ შეგიძლიათ განათავსოთ როგორც ხალხური შემოქმედების, ისე თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების მოტივებზე შექმნილი ნამუშევრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ როგორ გამოიყურება გამოფენის საერთო ხედი სკოლის ინტერიერში.

გამოფენის საერთო ხედი

ვერტიკალური კომპოზიცია



გამოფენის ექსპოზიციის შექმნაში გამოსახვის წესები დაგეხმარება: სიმეტრიული ან ასიმეტრიული განლაგება, კომპოზიციის კანონები ნახატებისა და საგნების განლაგებაში, ფერთა საერთო კოლორიტის გავლენა, ექსპოზიციის შინაარსი. ძალიან მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ჰარმონიას გამოფენასა და მის გარემომცველ სივრცეს შორის. არანაკლებ მნიშვნელოვანია განათების ელემენტები.

ჰორიზონტალური ექსპოზიცია



ნახატის მარჯვენა კუთხეში უნდა მიეწეროს მისი ავტორი. დაწერე მოკლე ინფორმაცია შენ შესახებ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი ან სოფელი), იმ სკოლის ნომერი, რომელშიც სწავლობ. არ დაგავიწყდეს მიუთითო თემის სათაური და ნახატი შექმნის თარიღი.





„აზერბაიჯანული ხალიჩა“. ნიჯათ ჰასანლი, 11 წლის, ქ. ბაქო, მე-5 სკოლა, 15 მაისი, 2012 წელი.

„ლარნაკი“. გიულშან ჰასანლი, 11 წლის, ქ. ბაქო, მე-5 სკოლა, 15 მაისი, 2012 წელი.

შემოქმედებითი კავშირი საგნებს შორის. გამოფენა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების როლს ეძღვნება, შეიძლება თამაშის, ვიქტორინის ან სპექტაკლის ფორმით ჩაატარო, გახადო იგი უფრო მხიარული და ინტელექტუალური. შეგიძლია, შენთვის ყველაზე საინტერესო თემების პრეზენტაცია მოაწყო და ისინი სლაიდების მეშვეობით აჩვენო. არ დაგავიწყდეს გერბები და ემბლემები, რომლებიც გრაფიკულ რედაქტორში შექმენი. თუ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას შეძლებ, პრეზენტაცია უფრო საინტერესო გამოგივა.

გამოფენა-ზეიმის ბოლოს ნამუშევრები, რომლებიც სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე იყო შესრულებული, შეგიძლია სტუმრებს აჩუქო.

შენი გამოფენა ძალიან ფასეულია. გამოფენა მნიშვნელოვან მოვლენად, ურთიერთობის ზეიმად ითვლება. დამთვალიერებელი ცდილობს, ჩაწვდეს იმ აზრებსა და გრძნობებს, რომლებიც შემოქმედებით ნამუშევრებშია ჩაქსოვილი. ყოველივე ეს შენსა და შენ გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის.

გამოფენაზე შეგიძლია მოიწვიო მასწავლებლები, მშობლები, მეგობრები. ისინი გაეცნობიან დეკორატიული ხელოვნების „სიდუმლოებებს“, გაგიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, მიიღებენ შენგან პასუხებს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. გამოფენაზე შეფასდება სასწავლო წლის მანძილზე შენი და შენი მეგობრების მიერ შექმნილი ნამუშევრების ღირსებები.

მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, თუ როგორი შემოქმედებითი ნამუშევრებისა და საოცარი ნივთების შექმნა შეძელი საკუთარი ხელებით! შენ, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ჭეშმარიტი ოსტატის მსგავსად, შენ გარშემო სილამაზეს ქმნი და ადამიანებს სიხარულს ანიჭებ!

Təsviri incəsənət – 5
Ümumtəhsil məktəblərinin 5-ci sinfi üçün Təsviri incəsənət fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə**
Yeganə Qələndar qızı Cəlilova
Taleh Musa oğlu Məlikov

Tərcüməçi **S.Nozadze**
Redaktor **L.Bakradze**
Bədii redaktor **T.Məlikov**
Texniki redaktor **Z.İsayev**
Dizayner **E.Çikarişvili**
Rəssamlar **M.Hüseynov, E.Məmmədov**
Korrektor **L.Umikaşvili**

Dərsliyin gürcü dilində nəşri "Deogene" nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 24.05.2016-cı il tarixli
354 №-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 3,8. Fiziki çap vərəqi 5. Səhifə sayı 80. Kağız formatı 70 × 100 1/16.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

"Bakı" nəşriyyatı
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30

Pulsuz

Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!